

„Machmadiani meſchebis qartuli gwarebi“ (Georgische Namen der muslimischen
Meſchen)
Autorin - Klara Barstaschwili, Sprache - georgisch, Auflage - 500


ფრიდრიხ ებერტის სახელობის ფონდი

კლარა ბარსთაშვილი

მაკაბიანი მესხების ქართული გვარები

A 98 - 04841

თბილისი
1997



ავტორი დიდ მადლობას მოახსენებს საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენელს ქ-ნ ია თიკანაძეს პროექტის დაფინანსებაში დახმარებისათვის

ავტორი - კლარა ბარათაშვილი

რედაქტორი - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გურამ მაშელაძე ქართულ ენაზე თარგმნა ალექსანდრა თუფაძე

- პროექტი შესრულებულია არასამთავრობო ორგანიზაციასთან "ლატიფმა ბარათაშვილის ფონდი" (დირექტორი - კლარა ბარათაშვილი) ერთად უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის ცენტრის "კავკასიური სახლი" დეპორტირებულ მესხთა პრობლემების შესწავლის პროგრამის ფარგლებში

- პუბლიკაციაში ასახულია ავტორის მოსაზრებანი

© ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, 1997

რედაქტორისაზანი

1944 წ. სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მაჰმადიანების ძირითადი ნაწილი მესხეთის მკვიდრი მოსახლეობა იყო, ტომით ქართველები (მესხები). დენაციონალიზაციის პოლიტიკამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ტარდებოდა: მესხეთის ტერიტორიაზე ჯერ თურქეთის ექსპანსიის შედეგად, ხოლო შემდეგ ცარისტული რუსეთისა და ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის მიერ, გამოიწვია გამაჰმადიანებულ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების კვლიდა. ეროვნებასთან ერთად მესხებს უკარგავდნენ თავიანთ ისტორიულ გვარებს, ხოლო 1944 წ. დაახლოებით 90 000 მესხს "თურქის" იარაღით შუა აზიის რესპუბლიკებში გადაასახლეს, სადაც ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ უფლებასა და თავისუფლებას.

ამჟამად იწყება მესხთა რეაბრტრაცია საქართველოში. სამშობლოში ცხოვრების უფლების აღდგენასთან ერთად მესხებს სურთ აღიდგინონ თავიანთი ისტორიული ქართული გვარები და ეროვნება. ამ საქმეში მათ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს წინამდებარე გამოკვლევა, რომელშიც ისტორიულ დოკუმენტებზე, საარქივო მონაცემებზე და ცოცხალი მოწმეების ინფორმაციაზე დაყრდნობით გადადგმულია პირველი ნაბრჯები მაჰმადიანი მესხების ქართული ანთროპომიტიკის შესასწავლად.

ავტორმა, ჟურნალისტმა კლარა ბარათაშვილმა დიდი შრომა დახარჯა იმისათვის, რომ მაჰმადიანი მესხების ანთროპომიტიკაში ქართული შრე გამოეკვლინა. აღსანიშნავია, რომ თვითონ კლარა ბარათაშვილი წარმოშობით მესხია, დეპორტირებული მესხების სამშობლოში დაბრუნებისათვის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ლატიფმა ბარათაშვილის ქალიშვილი. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი დოკუმენტები, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის (ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) მოსახლეობის აღწერა XIX საუკუნის განმავლობაში, დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ ე.წ. "თურქი-მესხები" წარმოადგენენ ეთნიკურ ქართველებს მესხთა ტომადან, რომელთა ქართული გვარები ამ დოკუმენტებშია შემონახული.

ავტორმა გამოკვლევას თან დაურთო საურბები თანამემამულეებთან. ამით უფრო სანტიერესო გახადა თავისი ნაშრომი. გასახლებულთა გულწრფელი, უშუალო მონათხრობები წარმოადგენს ხალხის ცოცხალ მესხიერებას, რომელშიც ინახება ძეგრფისი ინფორმაცია მათი ეთნოგენეზის შესახებ.

გურამ მაშელაძე

წიგნის სათავეები

ერთი ამბავი მინდა ვამბოთ. 1994 წ. აპრილში თბილისში ჩამოვიდა და სახლში შეწვია მამამდანი მესხი - მავიზ უსმანოვი. იგი აღელვებული ჩანდა. "გაგიკვ, თქვენ იკვლევთ საარქივო მასალებს ჩვენი ხალხის შესახებ"- თქვა მან. "ღიახ, თქვენ საიდან იცით?" პასუხად იგი მოვიდა თავის თავდადასაყვას - ერთს მრავალთაგანს ჩემი თანამშემუღველების ისტორიიდან. დიდიდა უხეცვით. დამთავრა ინსტიტუტი. იქვე დაიწყო მუშაობა. შემდეგ ფერვანის დარბევა, სასწრაფოდ აყრა დამკვიდრებული აფილიიდან და ახალი თარგმანების ძებნა. მოხდა ახერბაიჯანში, ქ. მინგეჩაურში, სადაც ჩემი და ცხოვრობს. სწორედ მისგან გავეცანი ჩემი საარქივო საქმიანობის შესახებ. მისი აღწერების მიხედვით საარქივო მონაცემები იყო.

- ვინ ვართ სინამდვილეში? - კითხულობდა ის. - ჩვენ ხომ, როგორც თურქები, ისე გავასახლეს. შემდეგ მოც, აღწერების დროს, ასევე თურქებად გვეწოდნენ. ჩვენ მამამდანიები ვართ, ვლასარკობით თურქულად. არ ვაკვს ქართული გვარები. ახლა კი გავიგე, ქართველებად გვევლიან. სად არის ამის დამამტკიცებელი საბუთები?

მე მას უთხარი, რომ, არავინ აპირებს თავს მოახვიოს მას სხვა ეროვნება. ის დრო წავიდა. მაგრამ, თუკი სურვილი ექნებოდა, შეიძლებოდა ჩავეხვედა 1886 წ. თბილისის გუბერნიის ასალციხის მაზრის ოჯახების აღწერების ტიპებში. იქნებ იქ წავეწვდომოდი რაიმე ცნობას მისი წინაპრების შესახებ.

ამ აღწერებზე მუშაობა ახალდამთავრებული მქონდა. ხელით გადავწერე 180 სოფლის იმ მამამდანი მესხების ოჯახების სია, რომლებიც ქართულ გვარებს ატარებდნენ. უნდა იტყვას, რომ ეს ერთი შეხედვით მოსაწყენი საბუთი ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

ამისობაში მავიზი დამშვიდა, ამოიღო ჩანთიდან გრძელი ნუსხა თავისი წინაპრების სახელებისა. ნუსხის თავში ეწერა მისი პაპის პაპა ოსმანი, დაახლ. 1860 წ. დაბადებული.

- ოსმანს ორი ძმა ჰყავდა - თქვა მავიზმა - ერთს ბურჯანი ერქვა, რაც შეეხება მეორეს - მისი სახელი არავის ახსოვს. იგი მეფის დროს ქ. ჩიტაში გადასახლეს. ბებია ყვებოდა, როგორ ჩააითხეს ახლობლებმა გადასახლებაში. მაგრამ ძმა აღარ დაბრუნებულა უკან და იქ, ჩიტაში გარდაცვლილა.

გადამავალი საარქივო სიები. მოენახეთ სოფ. არხენ ადიგენის რაიონში საარქივო ნომრით 1836. ეს პატარა სოფელი 1886 წ. 14 ოჯახისაგან (კომლისგან) შედგებოდა. №5 კომლად ჩაწერილი არიან: ოჯახის უფროსი ოსმან აზიზ ოღლი შაგინიძე, დაბადებული 1862 წ., მამამდანი-სუნეტი, ეროვნება - ქართველი, ქვემოთ ჩაწერილია: "მმა ბურჯანი, 20 წლის, მეორე ძმა შარიფი, 30 წლის

სამუდამო გადასახლებაშია ციხირში".

გაოცების შეძახილი აღმოგვება ორივეს, ყველაფერი დაემთხვა: ოჯახის თავის სახელი, ერთი ძმის სახელი, ხოლო მეორეს, ციხირში გადასახლებულ ძმს, რომლის სახელიც შთამომავლობამ ვერ შემოინახა, თურმე შარიფი რქმევია. უფრო მეტიც - მათ ქართული გვარი ჰქონიათ და იწერებოდნენ ქართველებად. სასწაულია...

ეს იყო წამდელი სურპრიზი, განპირობებული თაობათა შეხვედრით, ისტორიული სიმართლით.

- ეი, ჩვენ მართლა ქართველები ვართ? - მეკითხებოდა დაბნეული მავიზი. თან ჩაკარკიტებდა წინაპართა სახელებს და ძლივს იკავებდა ცრემლებს.

მე თვითონაც მთელი არსებით ვიყავი შეძრული. ყველაფერს რომ თავი გაეანებოთ, თვალნათლივ დაინახე ჩემი შრომის შედეგი. თურმე ტყუილად არ ეხედარებარ არქივის გაყენულ დარბაზებში, ტყუილად არ ვიწერდი გრძელ სიებს... თავდაპირველად ხომ ისე, საკუთარი ინტერესების დამკვიფრებისათვის შეეუდღეკე საარქივო ძიებებს. ეხლა კი აღმოჩნდა, რომ ეს შრომა მხოლოდ ჩემთვის არ ყოფილა დახარჯული.

მე ცხადად ვხედავდი, როგორ მოცურავდნენ საუკუნეების სიღრმეებიდან, გარდასული ეპოქებიდან აღაძამათა ცოცხალი სახეები. ისინი მანიშნებდნენ: ეს ჩვენ ვართ, თქვენი წინაპრები, ნუ დაგვივიწყებთ, ჩვენ თქვენი ფესვები ვართ.

ხუმრო აღწერილია ამბავა დამარწმუნა, რომ დაწყებული საქმე უნდა გამებრძელებინა, რადგანაც ეს სჭირდება ჩემს თანამშემუღველებს, რომ კარგად გაიცნობიერონ თავისი წარმომავლობა, ისტორიული სინამდვილე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ისინი დაუბრუნდნენ მშობლიურ კულტურას.

მოკლე ისტორიული ცნობები

მესხები - ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომია. XVII საუკუნემდე ისინი, ისევე, როგორც დანარჩენი ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. XVI საუკუნეში, ისარგებლა რა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დასუსტებით, თურქეთმა მიიტაცა მესხეთი და დაარქვა მას "გურჯისტანის ვილაიეთი", სხვათა შორის "ახალციხის საფაშო". 1578 წლიდან ორნახევარი საუკუნის განმავლობაში მესხები თურქეთის უდიდეს შემოჭრებში იმყოფებოდნენ.

თურქები მესხებს "გურჯი ოღლის" ("ქართველის შვილი") უწოდებდნენ (სხვათა შორის, ეს მეტსახელი შემონახული იყო გვიანობამდე. ასპინძის რ-ის სოფ. ზემო ოზორაში 1839 და 1842 წლების აღწერებში დაფიქსირებულია ოჯახის უფროსი ალი გურჯი ოღლი, ხოლო სოფ. აბის მხენელ-მოესველთა შორის 1847 წ. ირიცხება ისმაილ გურჯინ-ოღლი).

დაკარგობილ ტერიტორიებზე თურქები ატარებდნენ პოლიტიკას, რომლის მიხედვით მინაზე საკუთრების უფლება ჰქონდა მხოლოდ სამხედრო ვალდებულს, რომელიც, თავის შრივ მხოლოდ მამაღანი შეიძლებადა ყოფილიყო. მოსახლეობა იძულებული ხდებოდა, მამაღანთან მიეღო. ამეუ პერიოდში გატყვევების მიხედვით თურქეთის ხელისუფალთა ნებართვით მესხეთის მოსახლეობის ნაწილს კათოლიკებად ნათლავდნენ. ისლამიზაციის შედეგად მესხები იფიცებდნენ ქართულ ენას, რადგანაც საეკლესიო სალაპარაკო ენად თურქული ითვლებოდა. ქრისტიანული კულტურა თანდათანობით ადვილს უთმობდა მამაღანურს. მესხებს აკრძალათ ყურბანის მოვლა, რადგანაც ყურბანისაგან ღვინოს ამზადებდნენ. ყურანი კი ღვინის სმას კრძალავდა.

მხოლოდ 1829 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილი უბრუნდა რუსეთის იმპერიას. 1870 წ. გამოქვეყნდა "თბილისის გუბერნიის აღწერების კრებულში" მესხეთის მამაღანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ჩაწერილია, როგორც "ქართველი-სუნიტი". მათ გარდა მესხეთის ტერიტორიაზე მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ მომიტარე ტომები - "თარაქმა" და ქურთები.

XX ს. დასაწყისში, ატარებდა რა ქართველი ხალხის გათიშვის პოლიტიკას, მფუის ხელისუფლებამ მესხეთში თურქული სკოლები გახსნა. ამ დროისათვის მამაღანი მესხები თავს აღარ თვლიდნენ ქართველებად, იმიტომ რომ "ქართველი" მათთვის გაიგივებული იყო "ქრისტიანიან". ადგილობრივ კათოლიკებს უწოდებდნენ "ფერენეს" ("ფრანგი", რადგანაც მათ კათოლიკობა ფრანგებისაგან მიიღეს). მამაღანი მესხები თავს თურქებად კი არ თვლიდნენ, არამედ "იერლი მისლიმან"-ად ("ადგილობრივი, მკვიდრი მამაღანი"), ამით ისინი ქურთებისა და თარაქებისაგან განსხვავდებოდნენ. XIX-XX სს. მოგანზე მამაღანი მესხებში

შეინიშნება ეროვნული ცნობიერების გამოღვივება. ამ შრივ დამახასიათებელია 1886 წ. "თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების აღწერა". ამ დოკუმენტებში ადგილობრივი მოსახლეობის 60% "ქართული ეროვნების მამაღან-სუნიტებად" იწერებიან და მათში დაფიქსირებულია 300-ზე მეტი ქართული გვარი. აღსანიშნავია ასეთი ფაქტიც: ალიგენის რ-ის სოფ. უღეს კათოლიკურ ეკლესიაზე შემონახულია წარწერა იმის შესახებ, რომ მის მშენებლობაზე ქრისტიანებთან ერთად "ქართული ტომის მამაღანებმაც" გაიღეს შემოწირულობა.

მამაღანი მესხები დაპარაკობენ თურქეთს ენის აღმოსაღვეთ ანატოლიურ დიალექტზე, ოღონდაც ისეთი ბგერითი თავისებურებით, რომელიც მხოლოდ ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი. უფრო მეტიც - ამ ენაში მოიპოვება ქართული სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიის ფართო მრე.

გველაზე დიდი ზიანი მესხთა ქართულ ცნობიერებას საბჭოთა ხელისუფლებამ მიყენა. ჯერ იყო და ისინი, ონიკურად ქართველები, 1923 წ. ჩაწერეს "აზერბაიჯანლებად", მასობრივად გადასვლას ქართული გვარები აზერბაიჯანულად და მესხთი გადატყვის აზერბაიჯანის კულტურულ ავტონომიად (რადგანაც საბჭოთა კავშირს თავისი ინტერესები ახლო აღმოსავლეთში აძლედა ბევრი რამ დაეთმო თურქეთისათვის).

შემდეგ, 1944 წ. "თურქის" იარლიყით მესხეთის მამაღანი მოსახლეობა გაასახლეს საქართველოდან. დეპორტირებული მესხები 12 წლის განმავლობაში კომუნისტური ხელამხედველობის ქვეშ ცხოვრობდნენ შუახზის რესპუბლიკებში და მხოლოდ 1956 წ. მოესხნათ ეს შესუღუდა. ამ დროიდან მათ ნება ეძლეოდათ დასახლებულიყვნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნებისმიერ ადგილას, გარდა საქართველოსი.

1989 წ. ფერგანის დაბლობზე, სადაც კომპაქტურად იყვნენ ჩასახლებული მესხები, მოხდა მათი სისხლიანი დარბევა ადგილობრივი მოსახლეობის შრივადან, რის შედეგადაც მესხებმა მასობრივად დატოვეს უზბეკეთი.

ღვლინათვის საქართველოს მთავრობამ, მისი საზოგადოებრიობა დგამს ნაბიჯებს დეპორტირებულ მესხთა უფლებების აღდგენისათვის - მზადდება საკანონმდებლო აქტი დეპორტაციის ფაქტის დაგმობის შესახებ, მიმდინარეობს მზადება მესხთა რეპატრიაციის დაწვევისათვის.

ამჟამად საქართველოში ცხოვრობს არამეტეს 300 რეპატრირებული მესხისა, რომლებიც საშობლოში სხვადასხვა დროს დაბრუნდნენ.

ალფობრებისა და სხვა წყაროების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში რამდენიმე თვე დავყავი

ლუპით ზელში - ესწავლებოდნენ საოცარ დოკუმენტებს.

ეს დოკუმენტებია "თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიები" (რუსულ ენაზე). დიდი ხნის განმავლობაში ჩენთვის, მაჰმადიანი მესხებისთვის, აკრძალული იყო ამ დოკუმენტებთან მისვლა. ამიტომაც იყო ძნელი მესხებისთვის საკუთარ ვინაშენი გარკვევა. ბევრმა მათიანმა დროთა განმავლობაში დაკარგა ქართული გვარი და არ იცოდა როგორ მოეძებნა და აღედგინა ის. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უარყოფდნენ როგორც ქართულ წარმომადგენლობას, ისე იმ ფაქტს, რომ თავიანთ წინაპრებს ქართული გვარები ჰქონდათ.

დოკუმენტებზე მუშაობისას შემოვიფარგლე კონკრეტული ამოცანით - გამოძველინა მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები. დღეს ვცვლას შეუძლია მოძებნოს ამ სიებში თავიი წინაპარი. ვინც იცის მშობლიური სოფლის სახელწოდება, პაპის, პაპისპაპისა და ა.შ. სახელების მიხედვით ძნელი არ არის გვარის მონახვა.

ამ ნაშრომში აღნიშნული ტომონიშები, გვარები, სახელები და მეტსახელები ზუსტად შეესაბამება საარქივო დოკუმენტების ჩანაწერებს. დღეს ზოგიერთი მათგანი შეცვლილია.

უნდა შევნიშნო, რომ მაჰმადიანი მესხების დენაციონალიზაციის პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და 1886 წლისათვის მათ ნაწილს უკვე დაკარგული ჰქონდა ქართული გვარები, რაც აღწერებშიც დადასტურდა.

აღწერის დროს მაჰმადიანი მესხები ეროვნების მიხედვით ეწერებოდნენ ან "ქართველებად", ან "თათრებად", მაგრამ არსად შემხედვარა ეროვნება "თურქი". რაც შეეხება "თათარს", იგი გამომხდლია საქართველოში არსებული ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც მაჰმადიანური რელიგიის აღმსარებელს ზოგადად "თათარს" უწოდებენ. ამაზე მითითების სიტყვა "ვათარად" - რაც გამაჰმადიანების ნიშნავს. ე.ი. სიტყვა "თათარა" ადგილობრივი მოსახლეობისათვის იყო არა ეროვნების, არამედ რელიგიის მაჩვენებელი.

სიებშიდან ჩანს, რომ ზოგიერთი სოფლის (აგარა, ზიკლია, ტატანისი, ფერსა, ოფილა, შურღო და სხვ.) მოსახლეობას ქართული გვარები უკვე დაკარგული აქვთ, მაგრამ ეროვნების მიხედვით "ქართველებად" იწერებიან. ზოგ შემთხვევაში კი პირიქით ხდება - ქართული გვარები შერჩენილი აქვთ, მაგრამ ეროვნების მიხედვით "თათრებად" იწერებიან (მაგ. ღონისაშვილი, ჯაყოშვილი, ჩენელაშვილი სოფ. ყაზბაღან; დედობილაშვილი აბასთუნშიდან, ვეფხვაძე სოფ. აწყეტაღან და სხვ.).

აღწერებში კარგად ჩანს ქართული ენის გავრცელების თავისებურება მაჰმადიან მესხებში. ასე მაგალითად, ადიგენის რ-ნის სოფ. უღეში მაჰმადიანები, რომელთაც აქვთ ქართული გვარები (აღლაშვილი, ბარათაშვილი, კინამაძე,

პეტაშვილი და სხვ.) და თავს ქართველებად თვლიან, საოჯახო ენად მითითებენ ორზე - ქართულზე და თურქულზე.

ამის ასხნა შეიძლება. სოფ. უღეში შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა - იყვნენ მაჰმადიანებიც და ქართველებიც (კათოლიკები). ამასთანავე, ბევრი ქრისტიანი ნათესაურ კავშირში იყო მაჰმადიანებთან. ჯერ კიდევ ქრისტიანობის რღვევის პროცესში იყო შემთხვევები, როცა ერთი მძა კათოლიკე ხვდებოდა, მეორე - მაჰმადიანი. ეს ფაქტი ფოლკლორშიც აისახა. აი, რას ამბობს სოფ. უღეს შესახებ "ახალციხის სოფლების სახატბო დასტანი":

Üde - kassab-hana, akar kanlar,
Ancak doksan tüün var mislimanlar,
Belke bundan artuk hristiyanlar,
Onlar da kardaşdur biri birine.

უღეში სასაკლაო, სადაც იღვრება სისხლი
მაჰმადიანთა 90 კობლა იქ,
კობა მუტი - ქრისტიანების,
ერთნიც და მეორენიც ძმებად ეკუთვნიან ერთმანეთს.
(თურქული ტექსტის ბჟარადი)

რაც შეეხება სოფლებს შურღოს, ინდუსას, საყენეთსა და სვირს, იქაც საოჯახო ენად ითვლებოდა ქართული და თურქული. ასე მაგალითად, სოფ. სვირში, 1886 წ. დადასტურებულია მხოლოდ ერთი ქართული გვარი - ზეითაშვილი, მაგრამ მოსახლეობა თავს ქართველებად თვლის და სახლში ქართულად ლაპარაკობს. საინტერესო მოვლენას აქვს ადგილი სოფ. ინდუსაში - სოფლის მაცხოვრებლებს ქართული გვარები აღარა აქვთ, იწერებიან თათრებად, სახლში სალაპარაკო ენა კი ქართული აქვთ. ასე, რომ ამ მხრივ ძალიან ჭრელი სურათი გვაქვს და იგი საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

სიებიდან ჩანს, რომ მაჰმადიანი მესხების პრივილეგიებული ფენების (აღლაურები, ბგები) წარმომადგენელთა უმრავლესობას ქართული გვარები შენარჩუნებული ჰქონდათ - ერისთავი (ადიგენი), ამილახვარი (სოფ. ზაზალი), მაჩაბლი (სოფ. შალოშეთი), ყიფიანი (სოფ. აწყური), ავალიანი (სოფ. ჭარალი), ზერსეულიძე (სოფ. ცულო), სანიქაძე (სოფ. შოლავერი), თავსაც ქართველებად თვლიდნენ. მაშინ როცა ამავე სოფლების გლეხობას აღარც ქართველად მიანდა თავი და ქართული გვარებიც დაკარგული ჰქონდა. ეს ფაქტი ეწინააღმდეგება გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთის გლეხობა უფრო მტკიცედ იცავდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. საკმე იმაში იყო, რომ

წარჩინებულები ფლობდნენ ლოკუმენტებს, რომლებშიც ასახული იყო მათი უფლებები მიწისა და სხვა საკუთრებაზე. ეს ლოკუმენტები ინახავდნენ მათ გვარებს, რომლებიც ადასტურებდა მათი მფლობელის პრივილეგიებულ მდგომარეობასა და უფლებებს შეღავათებზე.

მაგალითად, ბეგი გიორგიმწინდადამეზი 1837 წ. აღწერებში ჩაწერილები არიან, როგორც პრივილეგიებული ფენის წარმომადგენელი; ხოლო 1886 წ. როგორც მფლობელები საკუთარი მამულისა და წიხტელის სოფ. გიორგიმწინდამი ("ახალციხის 2% მოსარებლის გადამხდელია ანბანური სიები"). ისინი ისევ ფიგურირებენ 1890 წ. "მიწათმფლობელთა სიებში".

ასევე, წლითი წლითი უმცირებდათ უფლებები ბეგ მანაბლებს სოფ. შალოშეთიდან; 1886 წ. - როგორც მიწის მფლობელები, 1890 წ. - ისინი "ახალციხის მაზრის მიწათმფლობელთა სიებში" არიან, ხოლო 1890 წ. ფლობენ მანუაჭატურულ საეკატორს, რომელიც წელიწადში 800 მან. ბრუნვის საშუალებას იძლეოდა.

იგივე შეიძლება ითქვას ერისთავებზე, ამილახვრებზე, ალა ყოფიანებზე და სხვ.

ჩემი აზრით, საკმაო გაუგებრობა შეიტანეს საერთო სურათში თეთონი აღწერვლებმა. ხელნაწერების მიხედვით თუ ვიშაგვლებით, აღწერაში მონაწილეობას იღებდა მეფის ჩინოვნიკთა მთელი ბრედგადა. სიების მიხედვით კარგად ჩანს საქმისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება. ზოგიერთი აღწერი კეთილსინდისიერი იყო: თუ ოჯახის თავმა არ იცოდა თავისი გვარი, ისინი არკვევდნენ მის მტკიცხელს და აკურატულად მაჩვენებდნენ ფრწხლებში: "მეტსახელი ჩიკო", "მეტსახელი კაკუკუ", "მეტსახელი ყავას" და ა.შ. ეს შემონახული ძირები იმის მტკიცების საშუალებას გვაძლევს, რომ წარსულში ისინი წარმოადგენდნენ გვარებს - ჩიკოშვილი, კაკუკუშვილი და სხვ.

სხვები ღრმად არ იხედებოდნენ საქმის არსში, ჩანაწერებს ნაქარვევად აკეთებდნენ და ვლანდინდენ (კითხვის დროს ძნელად გასარჩევია ასოები), უშვებდნენ აშკარა შეცდომებს. მაგალითად, ცხადია, რომ დვიდო ძებებს გვარები ერთნაირი ეწებოდათ. მიუხედავად ამისა ხშირად გვხვდება ასეთი ჩანაწერები: "მაქირ ებ ოლი აღიშნაძე" და "ხურმუდ ებ ოლი აშნაძე"; "ჰასან ზეირ ოლი სლანაძე" და "არეირ ზეირ ოლი სლანაძე"; "ემან სალას ოლი ბარაძე" და "ქაძილ სალას ოლი მარაძე" და სხვ.

საკვებით შესაძლებელია, რომ ზოგი გვარი საერთოდ არ ჩაიწერეს - შეგნებულად ან უყურადღებობის გამო. ასეთ შემთხვევაში გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ გ. ბოჭორიძის (1932 წ.) და გ. კერავლიძის (1944 წ.) მონაცემების მიხედვით ზოგიერთ სოფლებში (ყარათუბანი, ორფოლა, წინუბანი და სხვ.) გვხვდება ქართული გვარები, მაშინ როცა 1886 წ. აღწერის მიხედვით ამავე

სოფლებში ქართული გვარები არ დასტურდება.

მიუხედავად კვლევისა, 1886 წლის "თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიები" წარმოადგენს ფრიად ღირებულ საარქივო ლოკუმენტებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიშაგვლით მაშინდანი შესხების ქართულ გვარებსა და საერთოდ მათ ერთნულ ცნობიერებაზე.

1886 წ. აღწერის კვლადკვალ, სხვა წლების აღწერის შედეგების შესწავლაც გადაეწყვიტა. არქებში აღმოჩნდა ახალციხის მაზრის კატეგორიული აღწერები 1839, 1842, 1850, 1863 და 1873 წლებისა. მათზე მუშაობამ დაამანახა, რომ აქ ქართული ფენა უფრო ნაკლებადაა მტკიცებული 1886 წ. აღწერებთან შედარებით. მათში წმინდა ქართული გვარები თითო-ორიოდა თუ შეგხვდებით, მაგრამ გამოვლინდა საინტერესო კანონზომიერება.

რამდენადაც თურქებს არ გაანდათ გვარის ინსტიტუტი, ისინი ვინაობას აფიქსირებდნენ საკუთარი ან მამის სახელის მიხედვით. მაგალითად, მადე ჰასან ოლი, ოსმან რაჯაბ ოლი და ა.შ.

აღწერებში კი შესხები ძირითადად იწერებოდნენ არა მამის სახელის, არამედ თავისი მოვდმის სახელის მიხედვით, რომელიც უწინ მის გვარს წარმოადგენდა. ჩამოაცლიდნენ "შვილსა" და "მეს" და მოუმატებდნენ იგივე შინაარსის მატარებელ თურქულ "ოლის". ვლებულობდით: იბო-ოლი, ტოსო-ოლი, სარაჯ-ოლი, რესო-ოლი, ლიბო-ოლი, მუთო-ოლი, რევაზ-ოლი, პაკულ-ოლი და ა.შ.

იგი შემთხვევები, როცა გვარს ქართულ დაბოლოებებს არ ჩამოაცლიდნენ და მას კიდევ "ოლი" ემატებოდა. გამოდიოდა საინტერესო ტაქტოლოგია: ჩოხაძე-ოლი (სოფ. ადიგენი), გელაძე-ოლი (სოფ. დერეკლი), ბაზტაძე-ოლი (სოფ. ტატასისა), მახანძე-ოლი (სოფ. მოზე), ტატიძე-ოლი, კიხანძე-ოლი (სოფ. კლდე), ბაძაძე-ოლი (სოფ. საყუნეთი, სოფ. ზედა ოზორა) და ა.შ.

ფენენ ისეთებიც, ვინც მტკიცედ იცავდა წინაპართა გვარს. ასე, მაგალითად, საუკუნეთა სიღრმებიდან უცვლელად მოდის გვარი მესხზე აწყურადან, ისევე, როგორც გუბერნიით, ორფოლაქიძე, დარბიძე და ბეგერი სხვა.

მკითხველს თეთონ შუქლია გააკეთოს ასეთი შედარებები ქვემოთ მოტანილი ცხრილების საფუძველზე. მათში მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სოფლებისა, რომლებსისთვისაც დამახასიათებელია ზემოთქმული.

რაც შეეხება ინფორმაციას მშარის ჩვენებებიდან, რომელზეც მე დიდ იმედებს ვაგვარებდი, იგი მწირი გამოდგა.

ადიგენის რ-ნის მშარის განყოფილების გამგის ცილა ბერაძის (19.04.96) გადმოცემით, როდესაც 1944 წ. მესხეთიდან გაასხლეს ადგილობრივი მოსახლეობა, თან წაიღეს მშარის წიგნები, რომელთა მიხედვითაა ბუდი მისთვის უცნობია.

თუმცა ადიგენის მშარის განყოფილებაში შემთხვევითი შემორჩა სამი

წიგნი:

1. 1929 წ. მშაის წიგნი,
2. 1930 წ. ვარხნის სოფლის საბჭოს მშაის წიგნი,
3. 1934 წ. დაბადების აქტების რევიზტარაციის წიგნი.

პირველ წიგნში აღმოვაჩინეთ მამპლადიანი ქართველების 4 გვარი - ლომიძე, კიკნაძე, სანიკიძე და ბაქრაძე - ყველანი ადიგენის რ-ის სოფ. უცვლან.

მეორე წიგნი შედგენილი იყო აზერბაიჯანულ ენაზე ლათინური შრიფტით და მათში არ აღმოჩნდა ქართული გვარი. სოფლის მოსახლეობა დასახლებულია, როგორც "მუსლიმანი". ასევე იყო შედგენილი შესაბამისი წიგნიც, სადაც მამპლადიან მოსახლეობაში ენაზე რამდენიმე ქართული გვარიც ესაბუტურებს. გ. კირვალიძის ნათქვამი: "რათიულ მშაში სოფლად 1921-26 წ.წ. საჭმეთა წარმოება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, 1926-1929 წ.წ. თათრულად ძველი სპარსული აღფაბეთი, 1930-1935 წ.წ. თათრულად ლათინური ასოებით, 1935 წლიდან დღემდე კი რუსულად."

ადიგენის მშაის განყოფილება ხშირად იღებს დეპორტირებული მესხებისაგან დაბადების მოწმობის ასლების გამოთხოვის წერილებს. მშაის ძველი წიგნების არარსებობის გამო შეუძლებელია ამ თხოვნის შესრულება. მშაის განყოფილების გამგე ც. ბერაძე თვითონვე მიმართავს მათ თხოვნით აიღონ დღევანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაბადების მოწმობა და გადმოუზღვრონ ადიგენის მშაის ბიუროს ამ მოწმობის გაცემის დადასტურებული ცნობა.

ამგვარად ადიგენის მშაის განყოფილებაში, კეთილსინდისიერი გამგის ძალისხმევით 1971-1988 წლებში შემოღებულ იქნა ახალი წიგნი "საქართველოს სსრ ადიგენის რაიონში დაბადებულ მოქალაქეთა დაბადების მოწმობის აღდგენის დედასტურება". ამ წიგნში ბევრია ქართული გვარი: მელიქიძე (სოფ. ზაზალი), დარსიძე (სოფ. მოხე), მესხიძე (სოფ. აბასთუმანი), ჩიკვაიძე (სოფ. ზედუბანი) და სხვ. ეს დასტურია იმისა, რომ ბევრი დეპორტირებული მესხი დღესაც ატარებს ქართულ გვარს და არ აპირებს მის დათმობას.

დღეისამდე მოცემული ახალიცის ისტორიული მუზეუმის ყოფილი დირექტორის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. ხოსიტაშვილის ხელნაწერში, რომელიც ინახება მუზეუმში. ხელნაწერის მასალა ძირითადად მოპოვებულია მესხეთის იმ მოსახლეობასთან საუბრებიდან, რომლებიც არ იყვნენ დეპორტირებულნი. წყაროებში მითითებულია 170-ზე მეტი ქართული გვარი მამპლადიანი მესხებისა.

პირად საუბარში (21.04.96) ს. ხოსიტაშვილმა ვითხრობა, რომ გამოყვებული აქვს აგრეთვე კ. ახალიციის სამხედრო კომისარიატის მონაცემები, და რომ საქართველოს სსრ ყოფილი სუკ-ის არქივში, მისი აზრით, შესაძლებელია

მოიხაზოს ბევრი რამ, დაკავშირებული 1944 წ. გასახლებული მამპლადიანი მესხების ქართულ ანთროპონიმიკასთან.

დაკავშირუნდეთ აღწერების მასალებს. მომატეს ამონაწერები საარქივო დოკუმენტებიდან.

კავკასიის მთიანეთის კანცლარია, 1872 წ.

განცხადება

ამიერკავკასიის ახალი კამერალური აღწერის წარმოების შესახებ

კამერალური აღწერის ბოლო შემოწმების შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქვეყნის მოსახლეობაში. ამიტომ მის იმპერატორობით უღებულსია, დიდ თავდას, კავკასიის მთიანეთის ნებას, რომ ცნონ სუბიექტობა ამიერკავკასიაში ახალი კამერალური აღწერის წარმოების, რომელიც მოსახლეობის დასმარებით წატარდება მისი იმპერატორობითი უღებულსია მთიანეთის მიერ დატყვევებული უესების საფუძველზე ყოველგვარი სიმთელის თავიდან ასცილებლად დადგენილი შემდეგ:

წესები ამიერკავკასიის მოსახლეობის კამერალური აღწერის წარმოებისათვის

11

- კამერალურ აღწერაში შეტანას ყველგანაბრება ყველა ასაკის, სქესის, თაობის, ტომისა და ავმსარებლობის ნაწილად არსებული პირი, მთი შორის მამრობითი სქესისანი საკუთარი სხეულებით, მდღრობითისა - თითოეულ კომლში მუხავალი სერთო რაოლენობით.

12

კამერალურ სიების ადგენის: - ბ) სერთოდ ყველა მოსახლეზე კონც ცსივობას საკუთარ, ხასსინო, სათქო, საყელსო, მუხმულის, ბუტების ან ადების მიწაზე სოფლის მამსახლეობის არჩული პირების დასმარებით--

- 14

- სიები უნდა შედგეს თანდართული ფორმების მისხვით, რომლებიც წაიწერება

ქალაქის სახელწოდება, სოფლებში კი - მასრისა და სოფლის ან მოთამბარე თემის სახელწოდება, შემდეგ უნდა უწოდონ - ე) რომელ წოდებას ან უწოდან ეკუთვნის მოსახლე-
ლ) შემდეგ ჩაიწეროს კომლის უფროხის (მამრობითი სქესის) სახელი, მამის სახელი, მერსხელი ან კურო, რამდენი მამაკაცია ოჯახში, შემდეგ ციფრებით ადინიშოს, თითოეული მათგანის წილკანება, კომლში შემავალი მფლობელითი სქესის წარმომადგენელთა საერთო რაოდენობა და ადინიშოს, რომელ აღმსარებლობას ეკუთვნიან და სხვა, როგორც ამის წინასწარ შედგენილი ფორმები მოითხოვს.

- 46

- სიებში შეტანილ უნდა იქნეს უკლებლივ ყველა პირი, რომელიც ცხოვრობს მოცემულ ქალაქს ან სოფელში იმისდა მიუხედავად, არის აღწერის მოქმედში სახესე თუ ადგილზე არ არის.

- 45

როგორც კი მიიღებენ სიებს იმ პირებისაგან, რომლებიც არსებულ იქნენ აღწერის საწარმოებლად მასრის უფროხები და პოლიციის განყოფილებები გასცემენ განკარგულებას ჯოჯული კომლის ყველა მამაკაცის შემოწმების შესახებ, რისთვისაც საჭიროა თითოეულ ქალაქსა და სოფელში სახლიდან სახლში საიარული ამასთანავე, თუ აღმოჩნდა, რომ ყველა მამრობითი სქესის პირი დაუფარავად არის მითითებული სიაში, ასეთი კომლში გასწვრივ კვლავ სათანადო აღნიშვნა "წიორია"...

ახლო სიებს ხელს აწერს როგორც შემოწმებული ჩინოფიკი, ასევე ამ სიების შემდგენელი და თარჯიმანი, თუ ის თან ახლავს შემოწმებულ ჩინოფიკს. შემდეგ სოფლის მოსახლეობის სიებს წაკითხვენ სოფლის საერთო კრებაზე, რომელსაც უნდა დაესწროს სოფლის მოსახლეობის არანაკლებ 2/3-ისა ცხადდება სათანადო გადაწყვეტილებას, რომელიც წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს შემოწმებული სიების ხისწორისა.

- 43

კამერალური აღწერის დაწყებიდან ამ აღწერის საბოლოო შემოწმებამდე ჩინოფიკების მიერ, შექრულს მოსახლეობის გადაწერ-გადმოწერა ერთი ადგილიდან, ან ერთი წილებიდან მეორეში. თითოეული პირი უნდა აღიწეროს მისი მუდმივი და ძირითადი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იქ სადაც მას მოუწერია აღწერამ.

- სახინის მიერ მიწის განწოდებისას, ჯოჯული სოფელი ან თემი მიიღებს მიწის.

კომლების იმ რაოდენობისთვის, რაც კამერალურ აღწერაში მითითებულია და თუ მოსახლეობის რეალური სულაობა მეტი აღმოჩნდება აღწერაში მითითებულ სე. მამის მიწები არ გაცდება იმ კომლებზე, რომლებიც აღწერის სიებში არ არიან შეტანილი."

[საპროტოკოლის სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 13, აღწერა 23]

ლოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ სოფლის მოსახლეობა ეთანხმება აღწერის შედეგებს, ასე გამოიყურება:

"საეროზო კრების გადაწყვეტილება

1873 წ. 4 დეკემბრის დღეს ჩვენ ქუბორე ხელისმომწერნი, სოფელ ჭაჭრაქის სასოფლო თემის მოსახლეობამ შეადგინო ეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაუცხადოთ კამერალური აღწერის სიას და მასში ჩაწერილი ყველა მონაცემი სწორად მიგვაჩნია. არ არის გამტკიცავი არც ერთი კომლი, არც ერთი სული, რასაც ხელს ვაწერთ...

ხელმოწერნი/

სოფ. ჭაჭრაქის მმართველობის უფროხი კირაკოს ვირაბოვი
/მმართველობის მფქვი/ "
[თბილისის სახანო პალატა, ფონდი 254, აღწერა 3, საარქივი № 208]

მსგავსი "გადაწყვეტილება" თან ერთვოდა ყოველ სიას. საოჯახო სიების შედგენასთან დაკავშირებით 1889 წ. რეკომენდირებული იყო შემდეგი:

"საოჯახო სიების შედგენის შესახებ

ამირკაეკასიის სტატისტიკის კომიტეტი

29 მარტი 1886 წ.

№ 176

საქმის ვითარება

სახელმწიფო სამტხის უსწესიას ახრის დასტურით 1886 წ. 24 თებერვალს დადგინდა:

I. მიუღ ამირკაეკასიამი დიწუთის მოქალაქეების, კლეხებისა და სხვა პართა საოჯახო სიების შედგენა ძირითადი საფუძვლების დაცვით:

1. აღნიშნული სიები, რომელთა უპირატეხი აღნიშნულებსა ხამხედრო სამხარეთისთვის ვარჯისანი პრების აღწერა, დამატებით უნდა შეყვავდეს სუტე მონაცემებს მოქალაქეთა, კულტებისა და სხვა პრების შესახებ. აგრეთვე მონაცემებს თითოეული კომლის გადაჭრის უზარალობის შესახებ.

II. კავკასიის მხარეში სიების შეტყობისთვის გამოწვეული ხარჯების დასაფარავად 1886 წ. ამირკავკასიისად სამოქალაქო ნაწილის მთავარი მმართველის განკარგულებით გამოიყოფის ახი ათხის მანეთი.

ღებრატმწიქებში უნდა აღვნიშნავთ იმ ფორად მნიშვნელოვან გარემოებაზე რომლის მიხედვითაც კავკასიის ხალხთა მორიგი აღწერა ხახელმწიფოთს ამ ნაწილის თავისებურებისაგან გამოიძინარე სრულიად განსხვავებულად წარმომართება იმპერიის დანარჩენ ნაწილებში მსგავსი სამუშაოების ჩატარებისაგან და უკვე აღვნიშნავთ იქნება მნიშვნელოვან სიმსხვედრით. ამ მხარეში რკინისა და ხაერითად კავთებულ გზების მცირერიცხოვნებისა და მოხახლეობის საცხოვრებელი ადგილების გაფანტულობის პრობებში, რაც ბერე დასახლებული პუნქტი მხლად მისაწვლიად ადგილებში, ამ პრთა გადაადგილებაზე რომელსაც დაუკლებული წყნებით სიების შეტყობა, მნიშვნელოვანი თანხის გამოყოფა იქნება ხაერიო. ამას გარდა, გასათვალისწინებელი აღმოწერა საქმიანობის ხორთულ მოხალაღებელი არამგობრული ან, ხაერითად, საწინააღმდეგო გამოწვლილების გამო მაჰმადიანი მოხახლეობის მსრლიან, რადგანაც ისინი ვრ უკუბის მთავრობის ჩარევის მით თავხაერ ნაწილებში. ამიტომ აღწერის პრთცხში ჭყად აღმნიშნარეული ორგანოების მოქმედებით შემოფარგლად რაუფლოთის არ იქნება საქმიანისა ხაერიო გასტება ისეთი პრების მოძებნა, რომლებსაც აუტო დიდი გამოცდილება და ადგილობრივი მოხახლეობის ნდობა.

აღნიშნული მიხედვების გამო უნდა გაიხარდოს გაუფაღისწინებელი ხარჯები იმ სომამდე, რომელიც წინასწარ აღრიცხვას არ უწყებულარება მიახლოებითაც, რად, რომ ბოლიტს, სახელმწიფო ინტერესებიდან გამოიძინარე არის საუკუელი ვარჯისა, კომ ამ წამოწყების წარმადებით შესრულება სახელმწიფო სახანის ხარჯებლობას მოუტანს.

უტე არ არის, რომ კავკასიის მხარის ბოლია გამოწვეული აღწერის შეტყობა, რომელიც კარგა ხანის ჩატარად, კომლებს რათინებთა გაიხრებოდა, რთორც მოხახლეობის ბუნებრივი ნამატის, ისე თავსების გაყოფის შეტყობა.

ამენად, ხთავახო სიების შეტყობა, თუკი იგი ხაქმის ცოლნობა და კეთილ-

სინდისორებით ჩატარება, უკვე აღვნიშნავთ ხაქმიო რთინების ბეგარის გაღმხელ ერთულს, რომელიც დღეს ხაქმის წურეუბის გამო სრულებით იცოლებს თავიდან დაბეგვას."

[საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 415, საქმე 25]

მოცვანილი დოკუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ არსებობდა რაიმე წინასწარი მითითება აღწერის პრების ამა თუ იმ ეროვნებისთვის მიუყვების შესახებ. აქცენტები უფრო იმაზე იყო გაკეთებული, რომ "მაშობიო სქესის ცველა პრი, რომელთაგანაც შედგება კომლი, დაუფარავად იქნას ნაწილები". აღწერის მიზანი იყო გამოველინათ "საკმაო რაოდენობის ბეგარის გადამხდელი ერთეული", რომელიც "აქამდე სრულიად არიდებდა თავს დაბეგვას", რომ ცველას უკლებლივ ეხება ბეგარა მუფის ხახინის შესავსებად. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოტანილი აღწერის წარმოების წესებზე დართული ბლანკების ნიმუშებში არის ასეთი ვრავა: "რა აღმარებლობისა" (მიცემულია პასუხის ნიმუშები: "მართლმადიდებელი", "სომეხი-გრიგორიანი", "მაჰმადიანი") და "რომელი ტომისა" (პასუხები: "ქართველი", "სომეხი", "თათარი"). მონაცემების ასეთი ვანლაგებისას გასაგები ხდება ვრადაცია: "მართლმადიდებელი ქრისტიანი" - ე.ი. "ქართველი", "სომეხი-გრიგორიანი" - "სომეხი", "სუნიტი-მაჰმადიანი" - "თათარი". აქედან, ნათელია საუარული პასუხები: მაჰმადიანი თავს "თათარს" მიაკუთვებს. თუმცა მიცემულ შეთხვევაში ეს ტავტოლოგიაა, იმიტომ რომ "თათარი" ნიშნავს "მაჰმადიანს". ამ სიების მიხედვით თათარი იქნება ქურთიც, თარაქამაც, ყარაფავახიც და კამაღდანი მესხიც, თუმცა ეს უკანასკნელი სულ ჯერა ეთნოსს მიუკუთვება. აი პოველი ნიუანსა, რომელიც მნიშვნელოვნად ართულებდა მაჰმადიანი მესხების ეროვნული კუთვნილების საკითხს. ამიტომაცაა, რომ ისინი თავს ქართველებად არ თვლიდნენ, რადგანაც "ქართველი" მათ წარმოადგენაში ნიშნავდა "ქრისტიანს".

არის კიდევ ერთი ვარემება: რუსეთის იმპერიასთან მესხეთის მიერთების შემდეგ რუსეთის მთავრობას უნდოდა ქართველი მაჰმადიანების ასიმილირება რელიგიის საუფუძელზე. ამიტომაც ქართველებად თვლიდნენ მხოლოდ მართლმადიდებელ ქართველებს. მათთვის "მაჰმადიანი ქართველი" არ არსებობდა. უფრო სწორად, მათ სურდათ აღმოეფხვრათ ეს ცნება. ამიტომაც ქართველი მაჰმადიანები ჩაწერილი იყვნენ, როგორც "თათარი" - თარაქამასთან, ქურთობთან და სხვა მაჰმადიანებთან ერთად.

ცხადი ხდება ის ფაქტიც, თუ რატომ უწოდებდნენ მესხები თავს "იერლი მიხლიან" ("შევიდრი მაჰმადიანი", თურქ.). რათა განსხვავებულად იყვნენ მოსული მაჰმადიანებისაგან - მომთაბრე ტომების წარმომადგენლებისაგან (ქურთები, თარაქამა), რომლებიც მესხეთში ჩამოსახლდნენ XVII-XVIII სს.

ცხრილები

იმ ცხრილებზე, რომლებშიც ჩამოთვლილია სხვადასხვა წლებში რეგისტრირებული გვარები, უბრალო თვალის გადავლევაც კი ნათელ წარმოგვჩინებს იძლევა იმაზე, თუ რა მკვეთრად განსხვავდება ადრინდელი აღწერები 1886 წ. აღწერისაგან. ამ უკანასკნელში ქართული გვარები გაცილებიბი მეტი რაოდენობითაა მოცემული.

უნდა ითქვას, რომ საკვლევ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვან მიგრაციას ახალციხის მაზრაში ადგილი არ ჰქონია. სიების მიხედვით თუ ემიგრაციებით, ერთი და იგივე პირები ცხოვრობდნენ მოცემულ სოფლებში ხუთი, ათი, ოცი და მეტი წლის წინ.

მაგალითად, 1873 წ. სოფ. პატარა სმადაში მცხოვრები ერთი კაცი თავს უწოდებს "ღურსუნ ყოჩაღი-ოღლი"-ს, ხოლო 1886 წ. იგი უკვე "ღურსუნ ყოჩაღი ოღლი მარამხეა" და თავს "ქართველ მაჰმადიანად" თვლის; ანდა 1850 წ. სოფ. ჩორჩანში ცხოვრობდა კაცი, სახელად "მაკულ აბდურაჰმან-ოღლი", 36 წლის, "ეროვნებით თათარი". მას ვხვდებით 1886 წ. აღწერაში, როგორც "მაკულ აბდურაჰმან ოღლი ვეაბდინძეს", 59 წლის, "ეროვნებით ქართველს"; ან კიდევ, სოფ. აწყვიტაში 1873 წ. რეგისტრირებული 35 წლის "რეზიდ მამედ-ოღლი, ეროვნებით თათარი", 1886 წ. ხდება 48 წლის "რეზიდ მამედ ოღლი ვეხვამეძე ეროვნებით ქართველი" და ა.შ.

ერთი შეხედვით უცნაური მოვლენაა, მაგრამ ამის ახსნა შეიძლება. XIX ს. 60-იან წლებში მესხეთის უდიდესი ნაწილი თურქების ხელში იყო. ამ დროისათვის საქართველოში შეიქმნეა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება. ქართველი განმანათლებლები იღლა ჭეჭევაძე, აკაკი წერეთელი და სხვები დგანან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში, ეროვნული ერთიანობის აქტიურ პროპაგანდას ეწევიან მოუხედავად რელიგიური მრწამსისა. აი, რას წერდა ი. ჭეჭევაძე 1871 წ.:

"ყოველი ერთ თვისის ისტორიით სულდგებულობს. იგია საგანზე, საცა ერთ პოულებს თვისის ღონეს, თვისის გულის ბეგრას, თვის ზნეობის და გონების აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით... არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შესაშუკვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა... ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო... გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ზორცისანი, ერთისა და იმავე ერთი მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვექონია...

უწარჩინებულენი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენნი, ხელანდელის ოსმალის საქართველოს შედინი და მცხოვრებნი იყვნენ.

ჩვენი სასიქადულო "ვეფხისტყაოსნის" მოქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო. რუსთავეის დაბა, რომელსაც თვის საშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ ადევნებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უწევინა, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგანებებული სიფარული თითქმის იქიად ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს... ვერც, - მღაერობამ, მუხთლობამ, ღლაატამ, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განავაშორა ჩვენ მშენი - ერთად სისხლის მტერელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოღსინენი...

სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც... ოლინდ მოუდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთის კიდევ შევეერთდეთ, ერთმანეთი ვიპოვო, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუშტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერისს ადამიანის სინდისს... და ლაბობიერს გულზედ მისს მშურადვე მიიყრდენს, თვალში სისხარულის ცრემლობორეული ...!

1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, მესხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი - აჭარა, რომელიც ოსმალთა უღელქვეშ იმყოფებოდა, დაუბრუნდა შობლიური ქართული კულტურის წიაღს. მოუხედავად დიდი წინესა თურქული ადმინისტრაციის მხრიდან, აჭარალებმა მაინც შეინარჩუნეს ქართული თვითმკურნა და მასთან ქართული გვარებიც. მართლმანა გამაჰმადიანდნენ, მაგრამ თავს მაინც ქართველებად თვლიდნენ.

აჭარის ადარუებით საქართველოში წარმოიშვა "ქართველი მაჰმადიანის" ფენომენი და ადღვა ქართული პატრიონიები მაჰმადიანებში. ეს ვითარება აისახა მაჰმადიან მესხებზეც, რომლებმაც დაინახეს, რომ შეიძლება იყო ერთდროულად მაჰმადიანც ქართველიც და რომ ამ ორ ენებას შორის არ არსებობს წინააღმდეგობა.

შედეგად არ დაახანა. უკვე 8 წლის შემდეგ, ახალციხის მაზრის 1886 წ. აღწერისას გამოჩნდა 300-ზე მეტი ქართული გვარი. მათი მფლობელები თავს უწოდებენ ქართველ მაჰმადიანებს. ამასთანავე, სოფლებში, სადაც ადრე არ იყო დავითსირიებული ქართული გვარები, მაგალითად: მლაშე (16 კომლი), ნაწნაური (7 კომლი), ტოლოში (11 კომლი), ჩორჩანი (16 კომლი), ზანავი (24 კომლი), ზედა ოშორა (67 კომლი) და სხვა, ახლა გამოჩნდა ასეთი გვარები შემდეგი რაოდენობით: მლაშე - 11 გვარი, ნაწნაური - 7 გვარი, ტოლოში - 6 გვარი, ჩორჩანი - 10 გვარი, ზანავი - 8 გვარი, ზედა ოშორა - 28 გვარი და ა.შ.

ქვემოთ მოტანილი ცხრილებს ერთ-ერთი სვეტის სახელწოდებაა - "მესხების კომუნიები". ეს ინფორმაცია თავისებური კატეგორიის როლს ასრულებს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების სისწორის დასადგენად.

მესხების მიერ დასახლებული გვარებებამ ზოგიერთი პირდაპირ

ეხმანება საარქივო მონაცემებს, მაგალითად: შავაძე, პაპიძე (სოფ. კეხოვანი), თურმანიძე (სოფ. მლაშე, ზარხმა), კოპაძე (ორჭოშანი), გურგენიძე (წრიოხი), ვინჭარაძე (მოლაჯური) და სხვა.

ზოგი გვარი ტრანსფორმაციას განიცდის, მაგალითად ქაქუჩაძე და ქაქუჩაშვილი (სოფ. არხვი), გაგნაძე და გაგნაძე (სოფ. კლდე), ქატუნაშვილი და ქატუნაძე (სოფ. შურდო), ჭვინინაძე და ჭუჭუნაძე (სოფ. წახანი), ზაზაშვილი და ზაზვაძე (სოფ. ფლატე) და სხვა.

გარდა ამისა, შესხებისათვის დამახასიათებელია გვარის ძირის დასახელება, რომელსაც უმატებს სიტყვა "ვიღ"-ს, რაც თურქულად ნიშნავს "მოდგმა"-ს. მაგალითად, "სარაჯ-ვილი", "ხუცი-ვილი", "დემო-ვილი", "ჭუჭულა-ვილი" და სხვა.

ცხადია, ისინი წარმოქმნილი არან შემდეგი ქართული გვარებისაგან: სარაჯიშვილი, ხუციშვილი, დემოიძე, ჭუჭულაძე და ა.შ.

ქარიზ რასულოვმა, 22 წ. სტუდენტმა მიიხრა (13.06.95): "ჩვენი გვარი ეკუთვნოდა სასულიერო წოდების ადვიცის რ-ის სოფ. წახანში. ჩვენ გვიწოდებდნენ "ყარა მოლა-ვიღ"-ს ("შვი მოლას მოდგმა"). მაგრამ პაპ ამბობდა, რომ ჩვენ გვაქვს უფრო ძველი მტკსახელი - "აფვა-ვილი".

მოგვიანებით არქივში აღმოვაჩინე "იმ ადვოკატების სია, რომლებიც სარგებლობენ სახაზინო მიწებით და არ იხდიან სახაზინო ბეგრასს" (1848 წ.). ამ დოკუმენტში, ერთ ადვოკატს, რომელსაც ჰქვია "რაპორტი ქობლანის განყოფილების უფროსს" ნათქვამია: "სოფ. წახნისწყაროს სახლურებში სახაზინო მიწებით სარგებლობს ახალქალაქელი აბდულა ეფენდი, რომელსაც აქვს ორი ადგილი სახნავი მიწა... რაც შეეხება აბდულა ეფენდის მიერ აღწერილ წიქვილს, საბჭოე აქვს მონახენოს, რომ ეს ადვოკატი ეკუთვნოდა სოფ. წახნის მცხოვრებს მოლა ჰუსეინ აფვა-ვილის, რომელმაც 1944 წ. 15 მაისად მიყდა აბდულა ეფენდის, ხოლო აბდულა ეფენდი, იყდა რა ეს ადვოკატი და ნახა, რომ იგი მოუხერხებელია სახნავად, ააშენა ამ ადვოკატს წიქვილი, რომლითაც იგი სარგებლობს".

[საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 54, "ახალციხის სამხარ. სამართლებლო", არქივი №220]

საარქივო მონაცემების ასეთი დამთხვევები შესხების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ ამ ინფორმაციის მნიშვნელობაში და მისი უფრო დეტალურად შესწავლის აუცილებლობაში.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. 43 წ. მესხმა ნურადი მამულევმა ყირგიზეთიდან მოწერა: "დავიბედი უზბეკები, ვარ ცოლიანი, მყავს 4 შვილი. თუ საშუალება იქნება, რომ ვაძამოყსაწლები ადვოკატის რ-ის სოფ. ურწანში, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ, დაუყოვნებლივ გამოვიგებ ზაგრებოლი... ვთხოვთ

გამწიფით დახმარება ჩემი ქართული გვარის მოძებნაში. ჩვენს მოდგმას უწოდებენ "ომი"-ს. მაგვობაში პაპაჩემსგან გამოივინია, ბორჯომში ვიღაც ჩვენი გვარის კაცი ცხოვრობდა. პაპა ხშირად ჩადიდა მასთან სტუმრად. შეიძლება დღესაც ცხოვრობენ სადმე, საქართველოს რაიონებში ჩვენი გვარის ადამანები." (01.04.89)

"აბასთუმნის სახლის მფლობელთა სიებში" (1916 წ.) აღმოვაჩინე ეინძე ომიძე, რომელსაც ჭკემა აბასთუმნში ჰქონდა ერთსართულიანი სააგარაკო სახლი.

სამტრედიის რ-ის სოფ. კოპიტანში 82 წლის შაშათ იბრაგიმოვმა მიიხრა (12.05.96): "ჩვენთან ყურათუმანში ცხოვრობდა დაუდ-ოლი. ჩვენ მოდგმას კი უძახდნენ "უბედ'რა"-ს.

გაირკვა, რომ 1842 წ. ახალციხის მაზრის სოფ. ყურათ-უმანში დაფიქსირებულია ოჯახის უფროსი "დაუდ-ოლი", ხოლო "უბედ'რა" სხვა არაფერია, თუ არა ქართული გვარის - "უბედურიძის" ფუძე.

35 წ. ხ. მავლუდოვმა, რომლის წინაპრები ცხოვრობდნენ ადიგენის რ-ის სოფ. ნაშიაურში, მიიხრა (13.09.95), რომ მოხუცები მათ მოდგმას უწოდებდნენ "თადგურხაის", მაგრამ მას არ ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა. საარქივო მონაცემებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ 1886 წ. ახალციხის მაზრის სოფ. ნაშიაურში რეგისტრირებულია გვარი "თადგირიძე", რაც არსებითად წარმოადგენს ქართული გვარის "თადგირიძის" ძველ ფორმას.

ვოლგოგრადის ოლქის მუერებოში "გორნია პროლეტკა" 74 წ. რიზან აზიზოვმა მიიხრა (19.06.96), რომ მის შობილოურ სოფ. ჯაყისმანში ცხოვრობდა რამდენიმე გვარის ოჯახი, მათ შორის იყვნენ "პიტი-გალი" და "მიბილი-ვილი". ეს მონაცემები ეთხვევა გ. კირვალაძის მონაცემებს, სადაც 1944 წ. ახალციხის რ-ის სოფ. ჯაყისმანში რეგისტრირებულია გვარები "აითაძე" და "ზებანაძე".

35 წ. ისა აბიბოვმა სამტრედიის რ-ის სოფ. კოპიტანრიდან მიიხრა (13.05.96): "მე წარმოშობით ადიგენის რ-ის სოფ. პატარა სდადან ვარ. ქართული გვარი არ შემოვარჩა. მე მიდა მოძებნე ოგი, რათა შემთხვევითი გვარი არ მივითვისო. მამა ამბობდა, რომ ჩვენ მოდგმას ეძახდნენ "ჩახტან-ვიღ"-ს. საინტერესოა, რას ნიშნავს ეს სიტყვა და აქვს თუ არა მას საერთო გვართან.

ლინგვისტი-აღმოსავლეთმცოდნე ზეზვა მჯელაშვილის კომენტარი (17.07.96, თბილისი): "ეს სიტყვა ნამდვილი ქართული სიტყვაა. იგი მხოლოდ ქართული ენისათვისა დამახასიათებელი. სტრუქტურული ლინგვისტიკის თანახმად არსებობს გარკვეული ბეგრათმუხამებები, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის. ასე, რომ სიტყვანი "ჩახტანი" ბეგრათმუხამებია "ხტ" დამახასიათებელია მხოლოდ ქართული ენისათვის და მომდინარეობს ამ კონკრეტულ

შემთხვევაში ზნა "ხტომა"-საგან, სადაც ზტ - ფუძეა, ზმ - თემის ნიშანი, ა - სუფიქსი, რომელიც წარმოქმნის ზნის საწყის ფორმას, ისევე, როგორც "ჯდ-ომა". "ჩა" პრეფიქსია, რომელიც ზვიდან ქვევით მოძრაობას მართობს. სიტყვა "ჩახტი" - ბრძანებით კილოს გამოხატავს, სუფიქსი "ინი" რომელიმე მოდელსადმი მიკუთვნებას ნიშნავს. ასეთი საშუალებით ქართულ ენაში ბევრი გვარია წარმოქმნილი (მაგალითად: ორბელიანი, ავალიანი, ჩარკვანი), ამავე სუფიქსით იწარმოება ზოგიერთი სიტყვა (ტყე-ტყვანი, წყალი-წყლვანი), აგრეთვე ზოგიერთი ტოპონიმი, მაგალითად - ბაკურიანი (ბაკური ძევილი საკუთარი სახელია, ბაკურიანი - ბაკურის კუთვნილი ადგილი).

"ჩახტი" - მეტსახელია. საქართველოში მეტსახელები ძალიან იყო გავრცელებული. "ჩახტიანი" - სწორედ ამ მეტსახელიდან წარმოქმნილი გვარია. მაგრამ გვარი შეიძლება ყოფილიყო არა მარტო "ჩახტიანი", არამედ "ჩახტაძე" ან "ჩახტიშვილი", ე.ი. სუფიქსი "ინი" შეიცვლებოდა "ძე"-თი ან "შვილი"-თ. ნებისმიერი დაბოლოების შემთხვევაში ეს არის წმინდა ქართული სიტყვა.

აი, რა მდიდარ ინფორმაციას იძლევა ხალხის ცოცხალი მეხსიერება. დასასრულ შეიძლება ითქვას: არა აქვს მნიშვნელობა ემატება თუ არა მოდემის აღმნიშვნელ სახელს "ვილ", "ოლი" თუ სხვა რამ. მთავარია, რომ ფუძე ზღუზღებელი რჩება და, როგორც წესი, იგი ქართული გვარის ძირია.

საარქივო მასალაზე და ცოცხალ მოწმეებთან საშლიანი მუშაობის შედეგად აღმოვაჩინე მამამიან მესხთა 1000-ზე მეტი (უფრო ზუსტად 1094) ქართული გვარი. თუმცა ეს მუშაობა აბით არ დამთავრებულა. არის სხვა არქივები, გამოუკითხავი მესხები, რომლებიც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ კრანსონარის შტარეში, ჩრდილო კავკასიაში, უკრაინაში... მე მუშაობის გაგრძელებას ვაპირებ და იმედი მაქვს, რომ წინ ბევრი საინტერესო აღმოჩენა მელის. შემეცნისათვის განზრახული მაქვს გამოვაქვეყნო ჩემს მიერ მოძიებული მამამიანი მესხების ყველა ქართული გვარი.

იხლა კი გავეცნოთ უშუალოდ ცხრილებს.

ცხრილი 1

სოფ. პაბასტუშხანი

1839	1842	1850	1863	1886	მაისურაძე 1938	ხოსტაშვილი 1976	მშპნი 1988	მესხთა მონაცემები
მესხიანი	მესხიანი ბიამკ-იანი	მესხიანი	ლარსქიანი	მესხიანი მესხიანი მესხიანი მესხიანი	მესხიანი მესხიანი მესხიანი მესხიანი	მესხიანი	მესხიანი	მესხიანი მესხიანი მესხიანი მესხიანი

1839	1842	1850	1863	1886	ბოლონი 1932	ბოლონი 1944	სოციალური მოწყობები 1976	შესხვა მოწყობები
	ბრუნვა	ბრუნვა			ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	
	ბრუნვა	ბრუნვა			ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	
	ბრუნვა	ბრუნვა			ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	
	ბრუნვა	ბრუნვა			ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	


1839	1842	1850	1863	1886	ბოლონი 1890	ბოლონი 1932	ბოლონი 1988	შესხვა მოწყობები
ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა		ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა
ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა		ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა
ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა		ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა
ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა		ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა
ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა		ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა	ბრუნვა

1839	1842	1850	1863	1886	ბოჭორბი 1932	კირვლი 1944	ხოსტაშვილი 1976	გეგმა მონაცემები
დაბად- ალი ბოლო ჩხოვილი	დაბად- ალი	დაბად- ალი		დაბად- ალი ჩხოვილი გაბა- ილი	დაბად- ალი ჩხოვილი	დაბად- ალი		დაბად ჩხოვი კიკიძე კახიძე ნასა- ლაძე
				დაბად- ალი ჩხოვილი გაბა- ილი				

1839	1842	1850	1863	ბოჭორბი 1932	ბარბ. არქივი 1936	კირვლი 1944	ხოსტაშვილი 1976	გეგმა მონაცემები
მეფი- ლი	მეფი- ლი	მეფი- ლი		მეფი- ლი ნასა- შვილი დავით- ია	მეფი- ლი	მეფი- ლი	მეფი- ლი	მეფი- ლი
				მეფი- ლი ნასა- შვილი დავით- ია				
				მეფი- ლი ნასა- შვილი დავით- ია				
				მეფი- ლი ნასა- შვილი დავით- ია				

სამცხის რუკა

სამცხის რაიონის რუკა
1939 წ. აღწერის მონაცემების მიხედვით
სამცხის რაიონი



1839	ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი					ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი
1842	ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი					ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი
1848						ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი
1850	ქვემო ილია შუროილი					ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი
1863						ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი
1873						ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი
1886						ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი
ბიბლიო 1932	ბიბლიო					ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი
ბიბლიო 1944	ბიბლიო					ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი	ბიბლიო სოფელი კარაბე ქვემო ილია შუროილი შუროილი ახალი

ბარათაშვილების საგვარეულო გენეალოგია

მოკითხრობს ლატიფმა ბარათაშვილი:
 "ამ გენეალოგიურ ცხრილზე მუშაობა მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და საბოლოო სახე 1942 წ. მიიღო. გარდა ჩემი გვარის გენეალოგიისა, მე შევისწავლე ჩემი თანასოფლელების გვარების წარმოშობის ისტორია და საბოლოო გააში რამდენიმე ათეული გენეალოგიური ცხრილი შევადგინე. ისინი დღესაც ჩემ არქივში ინახება. მათ შევდგენაზე ამაღნი იმტომ ვიშრობე, რომ ჩვენმა შთამომავლობამ იცოდეს თავისი წარმომავლობა, იცოდეს თავისი ფესვები, თავისი მოდგმა, სადაც უნდა ცხოვრობდნენ და რა გვარსაც უნდა ატარებდნენ.

გვარის გადაცემა თაობიდან თაობაზე - უძველესი ტრადიციაა. გვარის საშუალებით ისტორიკოსებს შეუძლიათ ადავინონ ამა თუ იმ პირის მთელი საგვარეულო ნუსხა. ბარათაშვილების გვარი დიდი ხანია არსებობს, და რაკი ერთხელ შეერქვა ჩვენს წინაპარს, მას შემდეგ არ შეცვლილა საუკუნეების განმავლობაში.

1578 წ. მუსტაფა-ლალა ფაშამ დაიპყრო მესხეთი. დაპყრობილ მიწაზე რომ განმეტყვიებინა თავისი უფლებები, მან შემოიღო მოსახლეობის აღწერის წინი. მისი სახელწოდებაა: "გურჯისტანის ელიაიეთის დიდი დგოთარი". დგოთარის 51-ე გვერდზე სოფ. უდეს ერთ-ერთი ოჯახის თავად დასახელებულია "ბარათაშვილი".

ამოგად ჩენი გვარის წარმოშობის თარიღად პირობითად 1578 წ. ითვლება, როცა მესხეთის მოსახლეობა ვერ კიდევ ქრისტიანული აღმსარებლობის იყო. მოვიანებით, დაახლოებით 147 წლის შემდეგ ქრისტიანმა ბეჟანა ბარათაშვილმა მიიღო მამადანობა. ახალი სარწმუნოების მიხედვით მისი სახელი გახდა მუჰამედი. ჩვენ სწორედ ამ ბეჟანა-მუჰამედის შთამომავლები ვართ. ქეთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება იმერეთის სამეფოს, აგრეთვე გურიისა და ოდიშის სამთავროების დოკუმენტები. იმ განყოფილებაში, რომელიც 1466-1700 წლებს მოიცავს, 142-ე გვერდზე ამოვიკითხე შემდეგი: "ამიტომ ამ მუჰამედის, რომელსაც ადრე ბეჟანა ერქვა, ზურაბ ბარათაშვილის ძეს, გამამმადიანების გამო, უფლება აქვს ფლობდეს ყველა იმ მამულს და ქონებას, რომელიც ადრე მის მამას, ჰაბას და ჰაბის მამას ეკუთვნოდა." ჩენი გვარის გენეალოგია სწორედ ამ პირთა სახელებით იწყება.

გამორჩევა აგრეთვე, რომ ბეჟანა მდიდარი კაცი იყო და თავის მემკვიდრეს დიდი მამულები დაუტოვა. სოფ. წისი, მინდვრები სოფ. არალში, კეპრიაშის ბაღები, ჩოკურის წისქვილები და სხვა.

ბ. ახვლედიანის წიგნში "აჭარის მოკლე ისტორია" არის ასეთი ადგილი:

"...შეიხ-ულ-ისლამში ქართველ მამკდიანთა შორის თითებზე ჩამოსათვლელი ყოფილან. ცნობილი არიან შემდეგი პირები: ზენხეულიძე არაჰმანიდან - 1780 წელში, მაკვი ლომან ევვრიძე ბერძენი - ზენდიელი - 1830 წ., ყადი ხოჯა ბარათაშვილი - 1805 წ." (ტ.1, გვ.11. ბათუმი, 1944).

ახალციხის მახრის სოფ. უღეში ქართველი მამკდიანების ბარათაშვილების არსებობა დასტურდება ერთ-ერთ სტატიამში წიგნიდან "წერილები ქაბადიანიდან". იქ ნათქვამია: "უღეში არის საგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც 80 მოსწავლე სწავლობს. მათ შორის არის ერთადერთი მამკდიანი ბიჭი გვარად ბარათაშვილი." ლაპარაკია ჩემს ბიძა მალიქმანზე.

ბეჟანა-შუქამედს ჰყავდა ორი ვაჟიშვილი - ღურახი (აბღურაჰმანი) და სალახი. ღურახსაც ორი ვაჟი ჰყავდა - დედე-აღა და ჭინ-აღი. დედე-აღას ხუთი ვაჟი ჰყავდა, სამუალო იყო ისკანდერი. ისკანდერს 3 ვაჟი ჰყავდა და მათ შორის მამჩემი მაქსუდი. მამჩემსაც სამი ვაჟი ჰყავდა - მე და ჩემი ძმები - ბათალი და ფაჰრედინი. ჩვენც გავიზინდა შევლები...

ამრიგად, ბარათაშვილების გვარი სოფ. უღე-დან, დაწყებული ზურაბიდან, დაბადებული XVII საუკუნეში, დამთავრებული ჩემ ვაჟიშვილ მარტაბე, დაბადებული 1954 წ., 9 თობას ითვლის, ე.ი. ჩვენ გვარში ყოველ 28 წელს იცვლებოდა თითო თაობა. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ითვლის, რომ ადამიანთა მოდგმაში დაახლოებით ყოველ 30 წელს იცვლებიან თაობები.

ჩემი უშუალო წინაპრის დედე-აღას შთამომავლები იწოდებიან "დედელებად", ხოლო ყოჩაღის შთამომავლები "ყოჩაღილებად". სალახის შთამომავლები სხვადასხვა სოფლებში ცხოვრობდნენ, მათ გვარი დაკარგეს. მოგვიანებით ისინი იწერებოდნენ, როგორც "ჯურაღილები".

გენეალოგიური ცხრილი და შეკრებილი მასალა ცხადად ადასტურებს, რომ ჩვენი გვარი ადგილობრივი წარმოშობისაა.

ჩვენ არ ვართ გარედან მოსულები, მით უმეტეს არ ვართ თურქები. ჩვენ მკვიდრი მოსახლეობა ვართ, ქართველები, მესხები, რომლებმაც გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე მივიღეთ მამკდიანობა.

1944 წ. ნოემბერში ჩვენ სწორედ მამკდიანური აღმსარებლობის გამო დაეზარაღდით. საცხეუკავახეთის მიელი მამკდიანური მოსახლეობა გასახლებულ იქნა მკვიდრი საცხოვრებელი ადგილიდან და გაფანტული - შუა აზიაში "თურქის" და "ხალხის მტრის" იარღილით.

ასევე ბარათაშვილების მოდგმაც გაიფანტა ღუნიაზე. უზურისა და იბრაჰიმის შთამომავლები თურქეთში არიან. სალახის შთამომავლები გვარის დაკარგვის გამო გაუჩინარდნენ თვალთახედვიდან. დანარჩენი ბარათაშვილები პიროვნების კულტის პერიოდში გაიფანტნენ შუააზიის რესპუბლიკებსა და აზერბაიჯანში. სიკდილის წინ მამჩემმა მაქსუდმა მიმართა საქართველოს მთავრობას

თხოვნით, ნება მიეცათ დამარხულიყო შშობლიურ მიწაში, მაგრამ თხოვნაზე უარი მიიღო.

ასე, რომ დღემდე არა აქვს ცველა ბარათაშვილს შშობლიურ მიწაზე ცხოვრებისა და დამარხვის შესაძლებლობა."

სოფ. უღის მამკდიანი მოსახლეობის ქართული ვაჟიშვილი

"... ადიენის რ-ნის სოფ. უღეში 1944 წლამდე ცხოვრობდა მამკდიანი ქართველთა 9 საგვარეულო ქართული გვარებით: აბულაძე, ბაქრაძე, ბარათაშვილი, ბერძენი, კანჭაძე, კიქნაძე, პეტაშვილი, საჩავაშვილი, ჩილაშვილი...

XVIII საუკუნემდე სოფ. უღეში მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნეში პოლიტიკური და სამხედრო გარდაქმნების შემდეგ უღეში მცხოვრები 50 გვარიდან 10 გვარის ოჯახმა მიიღო მამკდიანობა, 40 - კათოლიკობა.

მამკდიანები სასულიერო განათლებას იღებდნენ არზრუშში, ყარსში და სტამბოლში. კათოლიკეები - სტამბოლში.

1895-1907 წ.წ. მღვდელ იოსებ ჩილაშვილის ინიციატივით სოფ. უღეში ააშენეს კათოლიკური ეკლესია რომულ სტილში. მამკდიანების სულიერმა წინამძღვრმა მოლა ებ ჩილაშვილმა ორგანიზება გაუკეთა მჭიჭის მშენებლობას.

...დაახლოებით 1760 წ. სოფ. უღეს მცხოვრებმა ვარდი ჩილაშვილმა მიიღო მამკდიანობა და სახელი ვიულად გაიდაკეთა ("გიული" - თურქულად ვარდს ნიშნავს). გიულის 5 ვაჟი ჰყავდა. მის ერთ-ერთ შვილშიველს აღიშანს ("უფროსი ვაჟის რასულეს შვილი) მეტსახელად "კანჭილი"(ქართული სიტყვიდან "კლანჭი") შვარკვეს. მასზე ამბობდნენ, რომ ნიჭიერია, მოხერხებული, მარჯვე, ყოჩაღი, გამჭრიახი. აღიშანის შთამომავლობამ მიიღო გვარი კანჭაძე. ერთმა მათგანმა იყიდა მამული სოფ. წარბასთუბანში და იქ დასახლდა. გიულის მეორე შვილიშვილი - ები (შუაიანა შვილის ომარის ვაჟი) იყო მოლა და შეინარუნა ძველი გვარი ჩილაშვილი.

ამრიგად, ერთი ქრისტიანული გვარი - ჩილაშვილი სოფ. უღეში გაიყო ორად და წარმოიშვა მამკდიანი ჭილაშვილები, შემდეგ მამკდიანი კანჭაძეები.

...როცა სოფ. უღეში მცხოვრები მამკდიანი ბაქრაძეების გენეალოგიას ვადავრდით, ამ საქმეში დახმარება გამიწია ამ საგვარეულოს უხუცესმა ხალილ მირზა ოღლი ბაქრაძემ.

მისი ზეპირი გადმოცემით დაახლოებით 1765 წ. ქ. ახალციხიდან სოფ. უღეში გადმოსახლდა ერთი ახალგაზრდა კაცი სახელად იოსებ ბაქრაძე. როგორც ამბობენ, ერთ ხანობას იგი მნათედ მსახურობდა უღეს ეკლესიაში, თავს იბრძნდა მრევლის შემოწირულობით. მის შთამომავლებს მეტსახელად "მოლოზან-გილი"

(მონაწილე მოღვაძე) შეარქვეს. მოგვიანებით იგი გამამკაცრებელი და სახელად ისა ღირსება, ხოლო გვარად მოლოზნიანთი დაიტოვა (მოგვიანებით "მოლოზნი-შვილი").

ახლად გამამკაცრებელი ისა მოლოზნიანთს ქ. ახალციხეში დარჩა ქრისტიანი მშა გიორგი და მძიმეული ლუკა. ლუკა ყოველ შემოღობაზე ჩამოდიდა უღებში თავის მამადიან ბიძისთან, სადაც მას სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ატანდნენ ახლობლები.

ისას ორი შვილიშვილი ჰყავდა: უფროსი - საიდი, რომლის შთამომავლობასაც "საიდ-ვილი"-ი შეარქვეს, უმცროსი - პუსენი. მისმა შთამომავლობამ კი შეინარჩუნა გვარი "მოლოზნიანთი".¹²

"თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიების" (1886 წ.) თანახმად სოფ. უღებში №120 ოჯახის თავად ითვლება სული საიდ ოლი მოლოზნიანთი, 45 წლის, ქართველი, მამამდანი-სუნიტი. №121 ოჯახის თავად კი - ებ უსენი ოლი მოლოზნიანთი, 38 წლის, ქართველი, მამამდანი-სუნიტი.

"...რაც შეეხება გვარს "აბულაძე", სოფ. უღებში უზუცესების მორაობრივ მიხედვით, ეს გვარი იწყება და-მშა ელენე და ვანოდან, რომლებიც უღებში ჯავახეთიდან, მთა აბულის ძირიდან გადმოსახლდნენ. ელენეს შთამომავლობამ კათოლიკოსა მიიღო, ვანოს შთამომავლობამ, კერძოდ მისმა ვაჟმა მეტეო კი - მამამდანიობა და ასე გაჩნდნენ სოფ. უღებში მამამდანი აბულაძეები.

შემდეგ აბულაძეები გაიყვნენ - მამამდანმა აბულაძეებმა მეტსახელად "მეტი-ვილი" (მეტის მოღვაძე) მიიღეს, მეტურ ნაწილმა, ვანოს შვილიშვილის პუსენის შთამომავლობამ კი "ადლო-ვილი" (ადლოს მოღვაძე).¹²

იგივე "თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიების" (1886 წ.) თანახმად სოფ. უღებში №154-დ ჩაწერილია ოჯახის თავი ყოჩი ოსმან ოლი მეტი-შვილი (მეტი აბულაძის შვილიშვილი). ამავე სიების მიხედვით №210-დ ჩაწერილია კომლის უფროსი ალი უსენ ოლი ადოლაშვილი, 51 წლის, ქართველი, მამამდანი-სუნიტი (მეტი აბულაძის მეტურ შვილიშვილი).

(საარქიო ნომერი 1852).

"...მამამდანი პეტაშვილების გენეალოგიის შედგენისას მომეხმარნენ მოხუცები - მამამდანი ალი იშხო ოლი პეტაშვილი და ქრისტიანი პეპკა-სტეფანე ჩავეშ ოლი პეტაშვილი.

მათი მონაცემების მიხედვით 1730 წ. ახალციხიდან უღებში ჩამოვიდა ორი მშა - ქრისტიანები ყაზრი და პეტრე პეტაშვილები. ყაზროს შთამომავალი არ ჰყავდა, მის მძას ჰყავდა ორი ვაჟი. უფროსი, სახელად ბერნადე 1760 წ. გამამკაცრებელი და მიიღო ახალი სახელი - არიფი. რასულა ალი ოლი პეტაშვილის მონაცემებით პეტაშვილთა გვარი სოფ. უღებში ორად, ქრისტიანებად და მამამდანიებად გაიყო. პეტაშვილების ერთი შტო გახდა ჩავეშ-ოლულარი. აი

რატომ: ოსმალების პატრონობის დროს არიფის ძმისშვილი ქრისტიანი პეტრე სოფლის თავი იყო - სერჟანტი (თურქულად "ჩავეშ"), ამიტომ მის შთამომავლებს უწოდეს "ჩავეშ-ოლულარი" (ჩავეშის შვილები), თუმცა ისინი ქრისტიანები იყვნენ. 1917-1921 წ.წ., მათ სიტყვა "ჩავეშში" თარგმნეს ქართულად და გახდნენ "გზირიშვილები".

მამამდანი პეტაშვილები ცხოვრობენ სოფ. უღეს დასავლეთ ნაწილში (რომელსაც "ღერე მახლები" ეწოდება), ქრისტიანი პეტაშვილები კი - სოფლის სამხრეთ ნაწილსა და ცენტრში - დიდი ცკელისის მახლობლად.

10-30/III/943წ.¹²

ციცხალი მოვამბაი

ნური ხოსაძე, 43 წლის: "წარმოშობით ასპინძის რ-ის სოფ. ზედა ოზორიდან ვარ, 6-7 წლის ასაკში მამაჩემის ბიძისთან, მოლაზთან (გარდაცვალა 1987 წ.) ვწყვსავლი საქონლს. მოხუცებისაგან ბევრს ისწავლი. აი მაგალითად, მოხუცები ყოველთვის ამბობდნენ, რომ ჩვენ ვართ ქართველებიდან გამოსული მამამდანიები. ჩვენი გვარი დიდია, ისე დიდი, რომ რამდენიმე დამოუკიდებელ გვარად დაიყო.

ჩვენი ძირითადი გვარია ხოსაძე. პაპა მილაზი ამბობდა, რომ ადრე ჩვენი გვარი შედგებოდა 5 მძისაგან. შემდეგ ისინი გაიყვნენ და თითოეულმა ახალი გვარი წარმოშვა: ბექირ-ვილი, სული-ვილი, ღირინგო-ვილი, ხოკი-ვილი და ჩქო-ვილი. ხოსაძეების მოღვაძე ძალიან გაიზარდა და ევლარ ეტოდა თავის სოფელ ზედა ოზორაში. ამიტომ ხოკი-ვიდე ("დიდე" - პაპას ნიშნავს თურქულად. კა.) და ღირინგო-ვიდე გადადნენ ქვემო ოზორაში, იქ უკვე ახალი გვარებით იწყებდნენ: ხოკი-შვილი და ღირინგო-შვილი. ეს ხდება დაახლოებით 1700 წ.

1930-იან წლებში ჩვენი მოღვაძე გვარი იყო ბექირაშვილი. მილაზ პაპა ევლებდა: "1944 წელს გასახლების მომენტში, სწორედ იმ დროს, როცა აყრილები და გამხლებლები ვიყავით წასახლელად, ჩვენთან მოვიდა ერთი პოლკოვნიკი - ქართველი. ჩვენ ბარკის ჩაღვებით ვიყავით დაკავებული. იგი მოგვიხსენიდა და ქართულად გვკითხა - რა გვარისანი ხართ? მე ვუპასუხე - ბექირაშვილი, არა, რა იყო თქვენი ძველი გვარი? მე ვუპასუხე - ხოსაძე. იგი ატირდა, მოხუცია და გადამკოცნა. შენ ჩვენი მშა ხარ, მიტარა მან, ჩვენი მოღვაძის ხარ, რამდენი წელი გეგმობთ თქვენ, ხოსაძეებს, ახლა კი საკუთარი ხელებით გასახლებთ აქედანო. ეს კაცი ქართველი იყო, ქრისტიანი."

სხვა რამეებსაც ვეუბლა პაპა. ჩვენი წინაპრიდან ერთი მშა ხოსაძე გამამამდანიდა, მეორედ დასავლეთ საქართველოში გაქცევა არჩა. მისი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ქუთაისის რაიონში, ქრისტიანები არიან. 1920 წლამდე ისინი ერთმანეთთან სტუმრად დადიოდნენ - ქრისტიანები და

მაჰმადიანები. რაც შეეხება ჩვენ მაჰმადიან წინაპარს - ის იყო სულითა და ხორციით ძლიერი - გარდაიცვალა 1926 წ. 125 წლის ასაკში და მთელი ამ ხნის განმავლობაში სათავეში ედგა თავის მოღვაწეს, ვეჟლანი ულაპარაკოდ ეპორირებოდნენ მას. მაგალითად, 1919 წ. მეზობელ სოფ. იღუმთაოდან მოსახლეობამ თურქეთში გადასახლება გადაწყვიტა. ჩვენებსაც მოუწოდებ იგივეს გაკეთებას. ღრმადმოხუცებული გვარის მეთაური წინ აღუდგა მათ სურვილს, აუკრძალა თურქეთში გადასახლება, რადგან იგი მოესწრო მათ ბატონობას - დაახლოებით 30 წლის იყო, როცა ეს მიწა თურქებისაგან გათავისუფლდა. ჩვენები ადრე აპირებდნენ თურქეთში გადასახლებას - ეს იყო 1898 წ., მოხუცმა მაშინაც არ გაუშვა ისინი.

როდესაც ჩვენ გავგასახლეს ყაზახეთში, იქ ძალიან მძიმე ცხოვრება გვექონდა, ემიგრაციისადაც. აი, მაშინ, ჩვენი მოხუცები ამბობდნენ - ე.პ. ტყევილად დავუყურებო პაპს და არ წავდიოთ თურქეთში, ამ ტანჯვას მარცხ ვაღაყურებოდითო. დღემდე წარმოშობით ქვედა ოზორიდან იყო. დღემდე ჩემი ბიძა - დედის ძმა, იგი სამარყანდში ცხოვრობს - ატარებს ქართულ გვარს - ჭუჭულაძეს. დღემდეც დღემდეც იგი ეს გვარს უყრია. მაგრამ, აი, ჩემი ბიძაშვილები უკვე აპსივებდნენ იყრებიან. მამის სახელის მიხედვით. მე ვკითხვ მათ - რატომ გააკეთეთ ეს, რატომ დაკარგეთ თქვენი გვარი მეთქი? უზბეკები თავისი წესის მიხედვით მოგვეცნენ, ჩვენ არაფრის გაკეთება შეგვეძლო - იყო პასუხი. მოხუცები ისევე თავის ვარაუდს - ჭუჭულაძეს - იყრებიან." (18.05.96. საქართველოს ოზურგეთის რ-ის სოფ. ნასაკირალი)

"თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიების" მიხედვით 1886 წლისათვის სოფ. ზედა ოზორაში დავიჭირებულია გვარები დრინგიშვილი და ჩენჭიშვილი. სოფ. ქვედა ოზორაში კი - ჭუჭულაშვილი, ხოიშვილი, დრინგიშვილი.

საიდ კურიშანიოვი, 46 წლის: "დავიბადე უზბეკეთში, იქვე ვსწავლობდი. პროფესიით ინჟინერი ვარ. 1989 წლიდან მოზღოვის რ-ში ვცხოვრობ. წარმომავლობით ადგილის რ-ის სოფ. საირმედან ვართ. მოხუცების მონაყოლის მიხედვით, აგრეთვე ჩვენ ხალხში შემორჩენილი გვარების გათვალისწინებით, დაბეჭდვით შემიძლია ვთქვას, რომ ადრე ჩვენ ვეჟლას ქართული ევარები გვექონდა. და, როგორც მოხუცები ამბობენ, ქართველობიდან მაჰმადიანობაზე გადავიდით. მაგალითად, მე ვიცი გვარები: დვალიძე, პაპიძე - საირმედან; კიჩანაძე, ბარათაშვილი - უდვან. უზბეკეთში მე ვინტობდი მუსტაფა ბარათაშვილს. იგი სკოლის დირექტორი იყო, კიდევ კამდ ბარათაშვილს. ისინი უმჯობეს იყვნენ, როგორც უკვე აღვნიშნე მამის მონაყოლის მიხედვით, ჩვენი გვარი იყო ფუნტარაძე.

მაგრამ უზბეკეთში გვარები გადავიკეთეს, თითქმის ყველას დავიკმატეს ბოლოსართი "ოვი" ან მამის სახელის მიხედვით - "ასეთი და ასეთი ოღლი". (09.06.96 კოლგოვარდის ოლქის საბჭოთა მუერნობა უსტ-პოგოვი).

მიზამ მაშელოვი, 39 წლის: "ჩვენი ნათესავი დედის მხრიდან წარმოშობით ახალციხის რ-ის სოფ. ფერსადანაა. მისი გვარია ჩახალიძე. უზბეკეთში ცხოვრებისას, მასთან სტუმრად ყოფნისას მაშინდელი ერთმანეთში ლაპარაკის დროს მოულოდნელად გადადიოდნენ ქართულ ენაზე. მე ეს მიკვირდა. მე თვითონ ქართული არ ვიცოდი, უზბეკეთში დავიბადე, წარმოშობით ახალციხის რ-ის სოფ. ჩურჩულოდან ვარ. სახლში ჩვენებს ვკითხვ, ეს ჩვენი ნათესავები ქართულად რატომ ლაპარაკობენ-მეთქი. იძიებო, რომ ისინი უხსოვარი დროიდან ქართველები იყვნენო. თუშტა, უნდა ითქვას, რომ ყველა მაჰმადიანურ რელიგიურ წესებს ასრულებდნენ - ნამაზი, რამაზანი და ა.შ. ისინი დავესაც შეგვიწინად ლაპარაკობენ და კითხულობენ ქართულად, ქართულ ვაჭრობასაც იღებენ. თუშტა ისე უზბეკეთში ცხოვრობენ. ჩვენი ნათესავის სახელი და გვარია ზაა ჩახალიძე." (12.05.96. საბტრედიის რ-ის სოფ. კოპიტნარი)

"...ხშირია ისეთი ფაქტები, როდესაც მამა ატარებს ქართულ გვარს, შვილი კი არა, სამოსახლო სამუერნო ვიწმობ, სამხედრო საბუთებში მოსახლეობისას პასპორტებში ჩაწერილი არიან თათრულად გვართ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ თავისი და მამის სახელით. ასე მაგალითად: აწუერის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და მისი ძმა კოლმუერნობის თავმჯდომარე სოფ. წოხტეშში იყრებიან ალიევად, მამა კი ჩხიძედ. სოფედ აწუერის საშუალო სკოლის დირექტორი იყრება თათრად, მამა კი მუხიძედ და სხვა.

სხვათა შორის ზემოხსენებულ ამხანაგებს სურთ შვიტანონ ცვლილება პარტიულ საქმეებში გვარების მხრივ, მაგრამ ამ საქმეს აფერხებს ჯერჯერობით ის, რომ მათ პასპორტებში და სამხედრო საბუთებში შეუძლებელი ხდება შესწორების შეტანა ზემოხსენებულ ორგანოების მითითების გარეშე.

...ხშირად ერთი და იგივე პიროვნების გვარი ცვლადობდა იყო, ან სწორად რომ ითქვას შეგნებულად უკარგავდნენ ქართულ გვარს. ასე მაგალითად, აგარის სასოფლო საბჭოს მდივანი გვარამაძე ჯუშალი კომკავშირში შვიდა 1924 წ. როგორც გვარამაძე ჯუშალი ჩახალიძე ოღლი, მაგრამ როდესაც 1931 წ. პარტიის კანდიდატად მიიღეს ქართული გვარი არ ჩაუწერეს და "მონათლეს" ჯუშალ ჩახალიძე ეროვნება კი "თურქი". ეს მაგნებლური სიმარტვე შესწორებელი იწახა 1938 წ. მან თავისივე თხოვნით თავისი გვარი და აგრეთვე ეროვნება დაიბრუნა, ჩაგვარებინა გვარამაძე ჯუშალი ჩახალიძის მქ, ეროვნება ქართველი. ამის შესახებ მან შემდეგი განუცხადა საქართველოს განათლების

სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებს: "...ასეული წლობით შენარჩუნებული გვარი კინადაც არ დამიარტევს... ესლა კი გვარიც დაიბრუნე და ჩემი ნამდვილი ქართული ეროვნებაც!"

ბასში გალუსტოვი, 70 წლის: "ამ დღეებში კურორტზე შევხვდი ახალგაზრდას, რომელიც ცხოვრობს მუღანში (აზერბაიჯანში - კ.ბ.). მისი გვარი ბაქრაძე. ის გვარის შეტყვას აპირებს. უფროსმა მამამ უკვე გამოიცვალა. იძულებულნი არიან ეს გააკეთონ, რადგანაც მათ საყვედურობენ, შინიშენებს აძლევენ: "თურქები ხართ, და როგორ შეიძლება ატაროთ გვარი "ბაქრაძე!"

მე ვიცნობდი მამამისს. ჩვენ ერთ სატყუთა მეურნეობაში ცხოვრობდით ანდოფანის ოლქში (უზბეკეთი - კ.ბ.). ის ატარებდა ქართულ გვარს და არავინ საყვედურობდა ამისათვის. მე მშურდა მისი - მას თავისი გვარი აქვს, არ დაკარგა. აი, შეიძლება კი იცვლიან. რა საწყენია! ბოლო აღწერის დროს ხომ იგი თურქად ჩაეწერა, ავტორიტორები დადიოდნენ სახლებში და ყველას აგრთხილებდნენ, თურქებად ჩაწერილიყვნენ."

(31.01.89. წერილი ენსტუჟიდან)

ალიბა ყურაძე, 58 წლის: "წარმოშობით აბასთუმიდან ვარ. საერთოდ, ჩვენ აბასთუმნის მკვიდრნი არა ვართ. ჩვენ ვართ კურორტ აბასთუმნიდან ჩამოსახლებულნი. 1895 წ. ჩვენი ორი წინაპარი გადასახლდა თურქეთში. ორი წლის შემდეგ ერთი მათგანი - მამარჩქვას პაპა - უკან ბრუნდება, მაგრამ მათი სამოსახლო უკვე გააპარტახებული იყო, ამიტომ დიდი პაპა დასახლდა ცოტა უფრო უკვეით - სოფ. აბასთუმანში.

ჩვენს მოდგმას ყურადა-გიღს უწოდებდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვხვდებოდი რას ნიშნავდა "ყურადა", მაგრამ როგორც კი 1972 წ. საქართველოში დაბრუნდი და მაშინდელი მახარამის რ-ის ნასაკირალის სატყუთა მეურნეობაში დაესახლდი, მანამდე ჩემთვის უცნობ ქართულ ენასთან შეხებას ნათელი მოპოვებ ამ სიტყვის მნიშვნელობას. ვეუბრობ, რომ იგი მდინე ქართული სიტყვისაგან "ყურადღება". ალბათ ჩვენი გვარი ნიშნავდა ყურადღებთან კაცს... მოგვიანებით რადიოში მოვიხსენიე გადაცემა ასპინძის რ-ში მცხოვრებებში ტრაქტორისტის შესახებ, რომლის "გვარიც იყო "ყურადღებ". მიხვდები, რომ, რადგანაც მესხეთის მკვიდრი ატარებს ამ გვარს, აქ საეჭვო არაფერია - ჩვენი გვარიც ეს იქნება. სამწუხაროდ, გვარის აღდგენის დროს შეტეობით ჩაგაწერინე გვარი - ვერაძე და არა ყურადაძე.

რაც შეეხება ქართულ გვარებს, რომლებიც შენარჩუნა ჩვენმა ხალხმა... რატომ შენარჩუნა ასე გულმოდგინედ? ვანა შეიძლება ძალად თავსმოხვეული ასე ხანგრძლივად შენარჩუნო? თუ ეს გვარები თავსმოხვეული იყო, ხომ

შეიძლება შემდეგ მოგვემორებინა ისინი? მაგრამ ნახეთ - ყველა ოჯახში იციან თავისი მოდგმის სახელი, გვარები, ე.ი. ეს ჩვენს სისხლშია გაუხდარი და თაობიდან თაობას გადაეცემა. აქ არ შეიძლება რაიმე ფაქტორი გაეცინოს პიონდეს ადგილი, ჩვენ ნამდვილი ქართველები ვართ. მაგრამ არა ქრისტიანი ქართველები, არამედ მაკამადანი ქართველები.

1876 წ. ჩვენ წაყვეით ადგილების რ-ში დაკარგული გვარების მოსაძებნად. სამხედრო კომისარიატში გვიჩვენეს ომში გაწვეულთა სიები. ძალიან საინტერესო სიები იყო. მაგალითად, სოფ. კეხოვანი. დასაწყისში წერია: "ზოზრევანიძე ასლანი". შემდეგ ჩაწერილია ამ სოფლის ყველა ზოზრევანიძე, მაგრამ გვარის გარეშე. გვარის ადგილი ცარიელია. გვერდით კი სახელი და მამის სახელია მიწერილი. ასე, დაახლოებით 20 კაცია ჩაწერილი. შემდეგ მოდის სხვა ქართული გვარი და ზუსტად ასევე - ქვემოთ მიწერილია ამ გვარის მატარებელთა მხოლოდ სახელები და მამის სახელები.

ძალიან ვაგავკვირვა ამან და ვეითხებო, რატომ არის ასე? გვიპასუხეს, რომ ასეთი ორმაგი პოლიტიკა იყო, შედეგებისაგან თავი რომ დაგვეხდვია. თუ უკვე დაიწვება ძემა, რატომ გადასახლეს თურქები. ჩვენ ვუპასუხებთ, ქართველები გაგასახლეთ-თქო, ნახეთ მათ საუცვლელს ქართული გვარები აქვთ. თუკი პირიქით დაისძება საკითხი - ქართველები რატომ გაასახლეთ - მამის პასუხი იქნება - ისინი ყველა თურქები იყვნენ, ხედავთ, აქ მხოლოდ ერთი ზოზრევანიძე ასლანია ქართველი. დანარჩენები თურქები იყვნენ.

ამთ იმის თქმა მიწდა, რომ ჩვენი დეპორტაცია წინასწარ საგულდაგულოდ იყო მომზადებული. აი, გვარებსაც გავითმოდნენ. ჩემს განსვენებულ ბიძას ვუძალს - იგი სოფ. სვირიდან იყო - 1952 წ. წაართვეს ქართული გვარი. ეს იყო ბუზარაძე. მისი გვარი იყო მჭვლიძეობილი. იგი ჩაწერეს ვუძალ მურსალ-ოღლად. მოვიანებით იგი ჩავიდა სოფ. სვირიში, რათა მონანას დოკუმენტები და აღედგინა გვარი. ეტება, საწყალმა, მაგრამ ვეღარაფერი იპოვა. სოფლის მმარის ჩანაწერებაც კი განადგურებული იყო. არადა, ხომ ცხოვრობდა ეს კაცი 1944 წლამდე სოფ. სვირიში და ატარებდა მჭვლიძეობის გვარს. სად გაქრა ეს გვარი? ვერც ერთი დოკუმენტი ვერ აღმოაჩინა."

(18.05.96. ოზურგეთის რ-ის სოფ. ნასაკირალი)

მარვა ქინდივეი, 61 წლის: "წარმოშობით ახალციხის რ-ის სოფ. საყურეთიდან ვარ. საქართველოში ყოფნისას, ვერ კიდევ 1930-იან წლებში ჩვენი ოჯახი ატარებდა გვარს - ქინდილაძე. ძალიან საინტერესოა მისი წარმოშობის ისტორია. პაპარქმა შეიყვარა ქალიშვილი ვაგასხეთის სოფ. ქილდოდან და მითიტცა იგი. ეს ამბავი ისე დაამახსოვრდათ თანასოფელებებს, რომ ჩვენს მოდგმას შეაჩვენეს "ქინდილა-ჯილი", აქ "ქილა" "ქინდილა" შეიცვალა. ვერ უბრალოდ ქინდილა-

გილი. მოგვიანებით - ქინდელაძე. შემდგომი, გადასახლებაში ყოფნისას ჩვენ გვარს ქინდიეად წერდნენ. და დღემდე ამ გვარს ვატარებთ. საერთოდ კი, ჩვენი ძველი გვარი იყო ტბაატაძე. ჩემი "აბლა" - ბივილა - ქართველი ქრისტიანია, მისი და სონა დღესაც ცოცხალია და ცხოვრობს სოფ. წყორბაში. მასთან სტუმრად ყოფნისას დედა სონამ მეთიხა: "მარვა, თქვენი ძველი გვარი დამაწიწედა - ვიცო, რომ ძალიან კარგი გვარი იყო, მაგრამ რომელი - არ მახსოვს; შე უთხარი: "დედა, ნუთუ მართლა გადავიწიწედი?" "უვიცავ, მართლა. იქნება შენ გახსოვს?" მე უკასხუხე: "რასაკვირველია, მახსოვს. ჩვენი ძველი გვარი იყო ტბაატაძე." თუ შესაძლებელი იქნება, მე ავუდღვენი ამ გვარს."

(12.05.96. სამტრედიის რ-ის სოფ. კობიტნარი)

ზაქარ ცაცანიძე, 60 წლის: "წარმოშობით ადგიენის რ-ის სოფ. დაღვიდან ვარ. როცა ჩვენ გავგასახლეს. მე პატარა ბიჭი ვიყავი. მამაჩემი ამ მომენტში სახლში არ იყო, თავისი ძმის სანახავად იყო წასული. ისინიც გაასახლეს. ამბობდნენ, რომ მამაჩემი მოხვდა შუაზღვის ქ. ოშში, მაგრამ ვეღარ ვნახეთ. ჩვენ თითონ ნამებანში მოხვდით, სასტიკი ზამთარი გადავიტარეთ. მაინც გავუძლებთ."

ჩვენი მთავარი პაპა, უფრო სწორად პაპისპაპა იყო შაი-დღე. მისი შვილები იყვნენ თურან-დღე და რაჯაბ-დღე. გვარად ცაცანიძეები. თურან-დღეს შვილი იყო აჰმედი. ამ აჰმედის შვილი ვასიფ არის მამაჩემი ვეჯალიძის ბიძაშვილი. მოხდა ისე, რომ ისინი გადაურჩნენ გასახლებას, უფრო ადრე დასახლდნენ ნასაკირალში, ისინი ეხლაც ნასაკირალში ცხოვრობენ. ისინიც ცაცანიძეები არიან. ჩვენ საქართველოში დაბრუნდით 1985 წ., მოგნახეთ მია ვასიფის ოჯახი. იმ დროისათვის მია ვასიფი უკვე გარდაცვლილი იყო. ძალიან გავიხარეთ, რომ აღმოვაჩინეთ ნათესაეები. ამასთანავე გავიფიქრე დაკარგული გვარი - ცაცანიძე. მაშინ მე ვატარებდი გვარად ავიალოვს - უზბეკები ყოფიან. იქ გვარები მამის სახელის მიხედვით იწერება. უზბეკეთში რომ მოხვდით, ასე ჩაწერენ. თანაც სხვადასხვაგვარად. მე და ჩემი ერთ-ერთი და საფია გავსდით რეკლამოლები. მეორე და მამა ჩაწერეს დედის მიხედვით. დედამაჩემი ადგიენის რ-ის სოფ. ნამბაურიდან იყო წარმოშობით. სახელად სულთანი. მამამისი ერქვა აზიზი. დოკუმენტების მიხედვით იგი გახდა აზიზოვა სულთანი. ამის მიხედვით მამა გახდა - აზიზოვი ბაშატი, და - აზიზოვა პოპომა. ისინი დღემდე ამ გვარით ცხოვრობენ უზბეკეთში. ჩვენ თავს ქართველებად ვთვლით. თავის დროზე ჩვენი წინაპრები ქრისტიანობიდან მაჰმადიანობაზე გადავიდნენ. არავენ გვიცრამლავს შეგასრულოთ ნამაზი და დავიცვათ რამაზანი. აქ ახლოს შექეთიც კი არის."

(19.05.96. ოზურგეთის რ-ის სოფ. ნასაკირალი).

ფაზლითა ჯანაყვა, 56 წლის: "წარმოშობით ახალციხის რ-ის სოფ. აწყურისა ვარ. თავიდან ჩვენი გვარი დღინაძეა, მაგრამ შემდეგ ამ რა

მოხდა. ერთ-ერთი ჩვენი წინაპარი თავისი ქორწილის დღეს გარდაიცვალა (ეს მოხდა დაახლოებით 5 თაობის წინ). მისმა ქრებმა გაჩინა ბიჭი. ბებია მეტიმეტი სიყვარულით ბავშვს "ჯანიკოს" უძახდა. უსახსრობის გამო ბებია იძულებული იყო მოწყალეების სათხოვნელად ევლო და როცა რაიმეს მაიწოდებდნენ, ჯიბეში იღებდა და თან დააცილებდა "ეს ჩემი ჯანიკოსათვის". ვეგულ ამე მთავარი უფრო ამ სიტყვას, რომ მათ მოდგმას ჯანაშვილი დარჩენეს. ასე გადავიქცით ღონღაძეებიდან ჯანაშვილებად. როცა რუსები მოვიდნენ, ჩვენ ჯანაყვება ჩავეწერეს. დღეს ამ გვარს ვატარებთ."

რაც შეეხება ქართული ენის ხმარებას, ჩვენთან, აწყურში უკლებლივ ვგვლა ლაპარაკობდა ქართულად. მაგრამ უკეთესად იცოდნენ ქართული ენა სოფლებში გამოხდა და ინდუსა. გადასახლებაში გაზახეთში ვცხოვრობდით, იქვე ცხოვრობდნენ გამოხადან, ინდუსადან და ომბრადან გადასახლებულები. ინდუსასა და გამოხას მკვიდრი ვგვლა ქართულად ლაპარაკობდა. ჩვენ დაილექტე შე უფრო კაცები ლაპარაკობდნენ, მათ უფრო უწევდათ გარეთ სიარული და ასე ისწავლეს. ქალბებმა და ბავშვებმა კი, რადგანაც სულ სახლში იხსდნენ, მხოლოდ ქართული იცოდნენ. ისინი ამბობდნენ: "ომორცლებმა გვასწავლეს გაზახეთში თურქულად ლაპარაკი, თორემ ჩვენ მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობდით."

(26.04.96. ხაშურის რ-ის სოფ. ცხრამუხა)

მარვა ქინდიევი, 61 წლის: "ინდუსელები ლაპარაკობდნენ სანახევროდ ქართულად, სანახევროდ ჩვენებურად. მე ვიყავი პატარა ბიჭი, როცა მამამ თან წამიყვანა სტუმრად თავის ბიძასთან დედის მხრიდან. სანამ უფროსები ლაპარაკობდნენ, მე აქეთ-იქით ვიფურებოდი. ვხდებ; ჩველი ბავშვი აკანში წევს და თავსახური შეხსნილი აქვს. იქვე გოგონა, დაახლოებით; ჩემი ხნისა, ეუნება დედამისი ჩვენ ენაზე: "აბა, ჩოჯღღ უნ თავი აჩლიძო, ბაღლა" ("დედა, ბავშვს თავი მიშველი აქვს, დაახურე..."). მან დავე ქართულად თქვა და ეს იმდენად სასაცილოდ მეჩვენა, რომ გადავიხარხარე და დავიწყე გამოვარება: "თავი აჩლიძო, თავი აჩლიძო..." გოგონა გამბარადა, გამოიწია ჩემკენ საცემრად, მაგრამ არ გაუშვეს - მე ზომ სტუმარი ვიყავი. მე კი ვაგბრძედი: "თავი აჩლიძო, თავი აჩლიძო..."

(12.05.96. სამტრედიის რ-ის სოფ. კობიტნარი)

აი, რას წერს ბ. ბოლორძე, რომელმაც 1932-1933 წლებში იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში:

"ინდუსას სახლობენ ქართველი მაჰმადიანები 100 კომლი. ...სოფელში ქართულს ვგვლა მშვენივრად ლაპარაკობს. თათროებს - უფრო კაცები, ვეგულნი ნახევრად ქართულს, ნახევრად თათროლს ლაპარაკობენ. უდელი ხარი ისტყილიშ

გაღ (მდის), ბოლოდან გაღღღ (ასწიეო). ექსი ბულილი, კოხტა წანტა, ტუმრების მოგაგული და სხე.

ბაზში გაღღღტოე, 70 წლის: "ახლაგაზრდობამ უნდა იცოდეს სიმართლე, უნდა იცოდეს თავისი ფესვები. იმითადა ვინმეს თუ ხელითა წილად, ისეთი ბელი, როგორც ჩვენ ზღღს ერეო. მიწის ყველა ნაგლეჯს თავისი სახელი ერქვა - მინდერებს, ბაღებს, ხეობებს, ხრამებს, მთის მწვერვალებს. ნაყადულებს, ბორცვებს - ყველას ქართული სახელი ერქვა: ჭინჭველა, საცურავი, კლდეკარა, კლდეგარა, სათავე, პეტრეული და ა.შ. საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს სახელწოდებები. 1944 წ. კი ეს ყველაფერი ერთბაშად მოიკვთა. და, აი, უკვე 45 წელია ამ ადგილებს აღარაინ უწოდებს თავის სახელს.

მე 1984 წ. ვიყავი სამშობლოში და ყველაფერმა ძალიან იმოქმედა ჩემზე. აგარიდნენ რომ გახვალ, მონანს მაღალი მთა, მას რუგეთი ჰქვია. ესეც კი არაინ იცოდა იქ - მე ვეკითხები მთ ამის შესახებ. ვიციოხუ სკოლის ზარის შესახებ. აღარ არის, დაკარგულია. არადა, ეს იყო ეკლესიის ზარი. ბავშვობაში ძლიერძლიერობით დაეთაობინებთ ბაბუა ომარ ფოცხვერაძეს. არ უნდადა მოცემა, ამბობდა, რომ მისმა პაპამ ჩამოსხნა ეს ზარები სამრკელოდან, თურქებს დაუძალა. ერთი დიდი იყო, მეორე პატარა. პატარა ჩვენ წამოვიღეთ და სკოლის ზარად დავეციეთ - ეს იყო 1938 წ., როცა ჩვენთან სკოლა გახსნეს.

...როცა სამშობლოში ვცხოვრობდით, ჩვენთან სიტყვა "თურქს" არ ხმარობდნენ. ჩვენ თავს მაჰმადიანებს უწოდებდით. უხბეკები "კაკაზ" -ს (კაცკასელი - კა.) გვიწოდებდნენ, ვისაც პასპორტი ჰქონდა, მასში ჩაწერილი იყო ერენება "ახერბაიჯანელი". ნამდვილი თურქები თავის ისტორიულ სამშობლოდ შუაზიას თვლიან, მეორე სამშობლოდ - ეზლანდელ თურქეთს. ჩვენ კი სამშობლოდ საქართველოს ვთვლით. ბევრს ახსოვს, ძველები ჩვენში როგორ ლოცულობდნენ ალაჰს ქართულ ენაზე.

ახლა სოფლების ქართული დასახელებები ვიციოხთო. მინდერები, მდელიები, მთები, ხეობები, კლდეები, ბილიკები - ყოველ მათგანს ქართული სახელწოდება აქვს. ახლა იქ სხვა ადამიანები ცხოვრობენ - ჩვენს შემდეგ მოსულები. მათ არ იციან ყოველივე ეს. ამის სწავლება შეუძლებელია. იგი თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს. ჩვენმა პატარა ბავშვებმაც კი იცოდნენ რომელ ადგილს რა სახელი ერქვა.

ჩვენ ახლომახლო სოფლებში არ ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველები, მაგრამ ჩვენი სოფლის - საყუთისის - ცენტრში იღვა მართლმადიდებლური ეკლესია. ვისთვის ააგეს ის? მას უწოდებდნენ: "გიორგიწმინდის ეკლესიას". ჩვენმა წინაპრებმა არ დაანებეს თურქებს დაეზრიათ

ეს ეკლესია. მისში, აღდგომის დროს ამ ეკლესიაში სალოცავად მოდიოდნენ ადამიანები ბორჯომის რაის სოფლებიდან. მათთან ერთად ჩვენი სოფლის მიღელი მოსახლეობა დროს ატარებდა ეკლესიის გარშემო.

რამდენი ჩამარხული შესქელებული ღვინით სავსე ქვევრი ამოვითხრია მიწიდან. მაგალითად აწყურში. კარგად მახსოვს. ეს მოუთითებს იმაზე, რომ ჩვენთან შესხვითი განვითარებული იყო მევენახეობა. ვინ და რატომ გადააშენა ვაზი?


ჩვენმა სალაპარაკო ენამ დღემდე შემოინახა ქართული სიტყვები. მე ვაგორებ იმ სიტყვების ლექსიკონს, რომელიც ხმარებაში გვაქვს და არაფერი აქვს საერთო თურქულ ენასთან: "ხინკალ", "თავმალ", "კურკა", "ლაყე", "ცურ"... საიდან გვაქვს ქართული გვარები? მაჰმადიანური რჯულის არცერთი ზღღი არ ატარებს გვარებს, მათთვის პაპის სახელიდან იქმნება გვარი, ჩვენ კი, ყველას გვაქვს გვარი.

რა თამაშებით ვერთობოდით ბავშვობისას? ქამრები, ფურნები, დაქარი, ქვა გადარუნდა, ყორი და ა.შ. ესენი ხომ ქართული თამაშობებია.

ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება...

მე მტკიცედ შწამს, რომ შესხვები ქართველებია. ეს ფაქტია, ეს ისტორიაა. ეს ჩვენ ვართ - ცოცხალი მოწმეები!"

(23.03.89. წერილი ენსტუკიდან)



0630P06ანბნთა ნუსხა

1996 წ. მარტი - ივნისი

1. ქეთარაძე გიორგი - არქეოლოგი, ისტორიის მეც. დოქტორი, ქ. თბილისი
2. ლაფანი ცოხრი - ახალციხის ისტორ. მუზეუმის დირექტორი, ისტ. მეცნ. კანდ.
3. მესხიშვილი ცირა - ახალციხის ისტორიული მუზეუმის მეცნ. თანამშ.
4. ხოსიტაშვილი სერგო - ჟენსიონერი, ახალციხის ისტორ. მუზეუმის ყოფილი დირექტორი, ისტ. მეცნ. კანდ.
5. მელუაშვილი ზეზა - ლინგვისტიკა-აღმოსავლეთმცოდნე, ქ. თბილისი
6. ბერაძე ციალა - საქართველოს ადვოკატის რ.-ის მშპის განყოფილება

ბ. თბილისში გამომცემი მისხმები

7. აშრაფი ისა - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. სამყურეს მკვიდრი
8. მამფლოვი რასული - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. წახანის მკვიდრი
9. ხსანოვი იასინი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ტობას მკვიდრი
10. რასულოვი ქარიბი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. წახანის მკვიდრი
11. მავლოლოვი რამზი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. სვირის მკვიდრი
12. ვალუგტოვი ბახში - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. საუნეთის მკვიდრი (წერალი)
13. მამფლოვი ნურალი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. უწას მკვიდრი (წერალი)

საძარბაველის ხაზურის რ.-ის სოფ. ცხარაშხაში გამომცემი მისხმები

14. მეტონიძე ბადრი - საქართველოს ასპინძის რ.-ის სოფ. ქვედა ოზორას მკვიდრი
15. ყულაევი ფადლი - საქართველოს ასპინძის რ.-ის სოფ. ქვედა ოზორას მკვიდრი
16. ზუბანოვა მინაათი - საქართველოს ასპინძის რ.-ის მკვიდრი
17. ვანაგვა ფახლიათ - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. აწყურის მკვიდრი

საძარბაველის საბრძანის რ.-ის სოფ. კობახიძეში გამომცემი მისხმები

18. იბრაჰიმოვი სიეფუღა - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ტიქნეთის მკვიდრი
19. მამფლოვი მიზამი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ჩურჩუტის მკვიდრი
20. შადიმბოვა ფიქარი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. კორტოხის მკვიდრი
21. მუსტაფაევი ნურადინი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ჩურჩუტის მკვიდრი
22. ფახლევაძე-ოღლი ყარა - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ვარხნის მკვიდრი
23. თუბოვი ჰაქარია - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ტიქნეთის მკვიდრი
24. იბრაჰიმოვა შამაათი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ყურათუხნის მკვიდრი
25. აბიბოვი ისა - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. პატარა სმადის მკვიდრი

26. ქინდიევი მარეა - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. საუნეთის მკვიდრი
27. სულთანოვა ნაზირა - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. საუნეთის მკვიდრი
28. ქამლოვი ომარი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ვარხნის მკვიდრი
29. ბექაძე ფადლი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი
30. ქინდიევი ჰამიდი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. საუნეთის მკვიდრი
31. მამფლოვი მირზამადინი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ჩურჩუტის მკვიდრი

საძარბაველის ოზურგაშის რ.-ის სოფ. ნასაბიარაქში გამომცემი მისხმები

32. ხოზრევანიძე ისმიხანი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. კეხოვანის მკვიდრი
33. მთლიძე მალიკი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი
34. ყურაძე ალიხანი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ასასთუნის მკვიდრი
35. ლახიშვილი ზედე - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ზედანის მკვიდრი
36. ბექაძე ფალარა - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. მულარეთის მკვიდრი
37. კაციაშვილი გიულბატონი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ფხვრის მკვიდრი
38. ხოსაძე ნური - საქართველოს ასპინძის რ.-ის სოფ. ზედა ოზორას მკვიდრი
39. ცაცანიძე ზაქარია - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ღაღვის მკვიდრი
40. ბექაძე რუსტემი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი
41. ბექაძე სულთანი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. საუნეთის მკვიდრი
42. ბექაძე შაბურადი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი
43. იორდანიძე ხალიდა - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ორფოლას მკვიდრი

სამარაბაიჯანში გამომცემი მისხმები

44. აშრაფივი ანვარი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. სამყურეს მკვიდრი
45. ახმედოვი ნათელა - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ლელოვანის მკვიდრი
46. უსმაიოვი მაფიზი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. არხნის მკვიდრი
47. ტაშტაროვი ხალიდი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ფლატეს მკვიდრი
48. გულუგივი შამანი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. ვარხნის მკვიდრი
49. ზურაბევი შახინი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ბოგას მკვიდრი

მომღობრადის ოლქში გამომცემი მისხმები

50. აბიბოვი ღურსუნი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. პატარა სმადის მკვიდრი
51. უსტა ხალიდოლი ნიადიმი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. პატარა სმადის მკვიდრი
52. აბიბოვი რიზმანი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ჯაყისმანის მკვიდრი
53. ჭილაძე მეზრი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. კლასის მკვიდრი
54. ალიევი ნაზი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ჯაყისმანის მკვიდრი
55. ხურიშანიოვი საიდი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. საირმანის მკვიდრი
56. რიზმანიოვი ვაჟმალი - საქართველოს ახალციხის რ.-ის სოფ. ჯაყისმანის მკვიდრი
57. აბიბოვი მადლოვი - საქართველოს ადვოკატის რ.-ის სოფ. პატარა სმადის მკვიდრი

ლიტერატურა

1. ი. ჭავჭავაძე. "ოსმალის საქართველო", რწ. ნაწ. კრებული, ტ. II, თბილისი, 1941 წ., გვ. 309-312
2. ლ. ბარათაშვილი. "სოფელ უდის ისტორიულ-ეტიმოლოგიური აღწერა", 1943-1944 წ.წ. (ლ. ბარათაშვილის გამოუქვეყნებელი არქივიდან)
3. ლ. ბარათაშვილი, კ. ბარათაშვილი. "წვეწ მესხები ვართ", "განთიადი" №1, 1989 წ.
4. გ. ბოჭორძე. "მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში", თბილისი, "მეცნიერება", 1992 წ.
5. ი. მისურაძე. "ქართული გვარები და სახელები", თბილისი, 1990 წ.
6. ი. მისურაძე. "ახალციხისა და ასპინძის რაიონების სოფლები 1938-1939 წ.წ. აღწერა" (ხელნაწერი, ახალციხის ისტორიული მუზეუმი)
7. ს. ხოსიტაშვილი. "1944 წლამდე სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ქართველ მაკაძიანთა გვარების სიები", (ხელნაწერი, 1976, ახალციხის ისტორიული მუზეუმი)
8. ჟურნალი "საბჭოთა სამართალი", 1989 წ. №7, გვ. 61-62

საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი

1. ახალციხის მაზრის ძველი კაბერალური აღწერა, 1839 წ., (რუსულ ენაზე)
2. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის კაბერალური აღწერა, 1842 წ., (რუსულ ენაზე)
3. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის სოფლების კაბერალური აღწერა, 1850 წ., (რუსულ ენაზე)
4. ახალციხის მაზრის სოფლების კაბერალური აღწერა, 1860 წ., (რუსულ ენაზე)
5. ახალციხის მაზრის კაბერალური აღწერა, 1863 წ., (რუსულ ენაზე)
6. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის სოფლების კაბერალური აღწერა, 1873 წ., (რუსულ ენაზე)
7. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის სოფლების ოჯახების სიები, 1886 წ., (რუსულ ენაზე)
8. სახაზინო მიწების მფლობელ ადათა და ბეგების სიები, 1847 წ., (რუსულ ენაზე)
9. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის მიწისმფლობელთა სიები, 1887 წ., (რუსულ ენაზე)
10. ამიერკავკასიის შხარის მოსახლეობის კაბერალური აღწერის წარმოების წესები, 1872 წ., (რუსულ ენაზე)
11. კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის ჟურნალი და ინსტრუქცია ოჯახური სიების შესახებ, 1886 წ., (რუსულ ენაზე)

12. თანდართული ამონაწერების მიხედვით 1847-1854 წ.წ. კაბერალური აღწერების გადამოწმების და ყველა გამოჩენილი ადგილის შესახებ (რუსულ ენაზე)
13. ახალციხის საერობო განყოფილების საერობო შუამავლის მიერ მოწოდებული ოქმი ახალციხის მაზრის კლდის სასოფლო თემის 20 სოფლისა, 1886 წ. 4 ოქტომბერი, (რუსულ ენაზე)
14. ახალციხის მაზრის 2%-იანი მოსაკრებელის გადახდელთა ანაზნაური სია, 1886 წ. (რუსულ ენაზე)
15. ხერეთისის უბანს მიკუთვნებული ზაზინის გლეხებისა და სოფლის მამასახლისების შესახებ, 1844 წ. (რუსულ ენაზე)
16. ახალციხის მაზრის აწერის უბნის მხენელ-მოთხველთა სია, 1847 წ., (რუსულ ენაზე)
17. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ყველა საწარმოებიდან მიღებული ამონაგებიდან პროცენტულობისა და განაწესების მოსაკრებლების გადახდელთა სია, 1899 წ. (რუსულ ენაზე)
18. აბასთუმნის სახლის მფლობელთა სია, 1916-1917 წ.წ. (რუსულ ენაზე)

საქართველოს კომუნისტური პარტიის არქივის დოკუმენტები

1. მოხსენებითი ბარათი ახალციხის მაზრის პარტიორგანიზაციების სოციალური და ეროვნული შემადგელობის შესახებ 1929 წ. 1 ივლისისათვის (რუსულ ენაზე)
2. კომუნისტი რიზა ანდრეას ოღლი ხმალიძის პირადი საქმე, 1929 წ., (რუსულ ენაზე)
3. ახალციხის სოფლის საბჭოს ღარიბთა ჯგუფის კონფერენცია, 1930 წ., (რუსულ ენაზე)
4. სიები და მონაცემები პარტიორგანიზაციების მიხედვით, 1935 წ., (რუსულ ენაზე)
5. თანამგრძობელთა ჯგუფი, 1936 წ., (რუსულ ენაზე)
6. პარტიული დოკუმენტების შეცვლა, 1936 წ. (რუსულ ენაზე)

სარჩევი

რექტორისაგან	3
წინასიტყვაობა	4
მოკლე ისტორიული ცნობები	6
აღწერებისა და სხვა წყაროების შესახებ	7
ცხრილები	18
სამცხის რუკა	32
ბარათაშვილების საგვარეულო გენეალოგია	45
ბარათაშვილების საგვარეულო გენეალოგიის სქემა	46
სოფ. უღის მაჰმადიანი მოსახლეობის ქართული გვარები ...	49
ცოცხალი მოწმეები	51
ინფორმანტთა ნუსხა	60
ლიტერატურა	62